

# ხობის მოამბე


№11-12 (7071) 9 ივნისი,
ოთხშაბათი, 2016 წელი.
ფასი 1 ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი


## „დარწმუნებული ვარ ამჯერადაც გავიმარჯვებთ!“



**საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საზოგადოებას მიმართა მორიგი ღია წერილით, რომელშიც მიმოხილულია, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის მანკიერებანი, ასევე ბოლო ოთხი წლის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება.**

**გთავაზობთ ამონარიდებს ბიძინა ივანიშვილის წერილიდან.**

ახლახან ჩატარდა „ქართული ოცნების“ ყრილობა, რომელმაც ახალი თავმჯდომარე აირჩია და პარტიის შემდგომი გეგმები გამოაცხადა. ამით დასრულდა ერთი ეტაპი, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში დაიწყო და ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას შევუდექით.

2011 წელს სწორედ საქართველოს მოსახლეობის წინაშე ავიღე პასუხისმგებლობა და, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო თანამდებობაზე არ ვარ, ამ პასუხისმგებლობას დღემდე ვგრძნობ.

• „მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების ტოტალურმა მონოპოლიზებამ და ჩატარებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა ცხადი გახადა სააკაშვილის სურვილი, ყველანაირი კონსტიტუციური ვადის ამოწურვის მიუხედავად, შეინარჩუნოს ძალაუფლება და დარჩეს ხელისუფლების სათავეში“.

• „სიცრუის ქსელში ჩართულმა ფსევდოოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა, პარტიებმა და საინფორმაციო საშუალებებმა ისეთი გარემო შექმნეს, რომ საზოგადოების პოლიტიკურად ყველაზე აქტიურ ნაწილსაც კი პოლიტიკის მიმართ უნდობლობა გაუჩინეს და საბოლოოდ დააკარგინეს არჩევნების გზით რაიმეს შეცვლის იმედი“.

რეალური სურათი იმაზე ბევრად მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა!

ერთ დიდ ციხედ გადაქცეული მთელი ქვეყანა, ტოტალური მოსმენები, თვალთვალი, ფარული გადაღებები, დასმენა და შანტაჟი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა. ხელისუფლება სრულად აკონტროლებდა მედიას. ერთ პატარა ჯგუფს ყველაფრის უფლება ჰქონდა, დანარჩენს–არაფრის. ვისაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას შეატყობდნენ, სამსახურებიდან აგდებდნენ, ქონებას ართმევდნენ, ცემდნენ, აპატიმრებდნენ, ციხეში სასტიკად აწამებდნენ და თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, კლავდნენ კიდეც!

არ დავმალავ, რთული იყო გადაწყვეტილების მიღება, რადგან პოლიტიკური საქმიანობა არასდროს მაინტერესებდა და, ამასთან, არსებული რეჟიმის ხასიათიდან გამომდინარე, ეს ძალიან სახიფათო იქნებოდა ჩემთვის და, რაც მთავარია, ჩემი ოჯახისთვის:

• „ბევრი სვამს კითხვას და ბევრს უკვირს, მე, წარმატებულმა ბიზნესმენმა, ყოველმხრივ უზრუნველყოფილმა ადამიანმა, რატომ შევაგდე ყველაფერი სასწორზე და რატომ გადავწყვიტე პოლიტიკაში მოსვლა? ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია. იმიტომ, რომ ვხედავ, სამშობლო მეკარგება, ხოლო როდესაც სამშობლო გეკარგება, არაფერს არ აქვს ფასი, არც ქონებას, არც ფულს, არც პრივილეგირებულ მდგომარეობას“.

• „შეცდომა იყო, საქართველოდან წასვლა რომ დავაპირე. წასვლა ერთია, მაგრამ მერე რა პირით უნდა დაბრუნდე უკან, როცა შენს ქვეყანას იმ დროს მიატოვებ, როცა ძალიან უჭირს. როცა დაბრუნდები, დაგხვდება კი აქ ქვეყანა?!“

ვითარების ანალიზი მიჩვენებდა, რომ პირადი მონაწილეობის გარეშე საჭირო შედეგს ვერ მივიღებდით, ამიტომაც გადავწყვიტე, გარკვეული დროის განმავლობაში, თავად გამეწია კოორდინაცია პოლიტიკური პროცესებისთვის და სიტყვა მივეცი ჩემს თანამოქალაქეებს, რომ აუცილებლად დავამარცხებდით უსამართლობას.

**ნაწყვეტი 2011 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნებული ღია წერილიდან**

აქვე მინდა გავიხსენო ის დაპირებები, რომლითაც ჩავები ბრძოლაში და, შემიძლია ვთქვა, რომ მათი დიდი ნაწილის შესრულება შევძელი.

>>>>>>>>>>>>>>> 2



## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა



30 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები. სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხი, მათ შორის: დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის საფუძველზეც ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის 848,3 ათასი ლარის ასახვა განხორციელდა.

სხდომაზე ასევე განხილულიქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც მომზადდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის მიერ (პროგრამა დაფინანსებულია აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსგან (USAID)) გზამკვლევის სახით და რომელიც წარმოადგენს კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შეფასებას მუნიციპალიტეტების მიხედვით, საქართველოს სხვადასხვა პრიორიტეტულ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ გარემოსდაცვით სფეროებზე, კერძოდ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის სფეროებზე, სოციალურ სექტორზე და ასევე კულტურულ მემკვიდრეობებზე, დაცულ ტერიტორიებსა და ტყის ეკოსისტემაზე, ზემოაღნიშნული გზამკვლევი მოწონებულიქნა საკრებულოს მიერ.

ამ და დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## „რეიტინგი ოქრო“, —„ხობის მოამბეს“




**საქართველოს ტოპ-40 ლიდერი საწარმო სამეურნეო სუბიექტების ზოგადსახელმწიფოებრივი სტატისტიკური რანჟირების მიხედვით, კრიტერიუმის „დანახარჯები დასაქმებულებზე“–მიხედვით მცირე ბიზნესის კატეგორიაში (საგამომცემლო საქმიანობა) შ.პ.ს. „ხობის მოამბემ“ მოიპოვა „რეიტინგი ოქრო“.**

# „დარწმუნებული ვარ ამჯერადაც გავიმარჯვებთ!“

1

მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა ყველა აკრძალული ხერხი გამოიყენა, კალაპოტიდან მაინც ვერ ამოგვაგდო, ვერცერთ პროვოკაციაზე ვერ წამოგვაგო და წინასაარჩევნო პროცესი მთლიანად ჩვენი სცენარით წარიმართა და ყველაფრის მკადრებელ და ყველაფერზე წამსვლელ რეჟიმს ძალაუფლება უსისხლოდ დავათმობინეთ.

უპასუხისმგებლო და მოძალადე მთავრობის ნაცვლად ჩამოვაყალიბეთ მოსახლეობის მიმართ ანგარიშვალდებული მთავრობა, სრულად აღმოვფხვერით ელიტური კორუფცია.

ამ ოთხ წელიწადში ჩავატარეთ სამაგალითო– 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები და ბოლო მოვუღეთ მოქალაქეებისთვის ხმების მოპარვის დანაშაულებრივ პრაქტიკას. დარწმუნებული ვარ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებიც ასევე ყველაზე მაღალი სტანდარტებით ჩატარდება.

მიუხედავად კრიტიკული განწყობებისა, ხელისუფლებამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და სასამართლო სახელისუფლო წნეხისგან გაათავისუფლა.

მოვახდინეთ პოლიციის დეპოლიტიზაცია და გავაუქმეთ სოდი და კუდი, სახელმწიფო უშიშროების სამსახური ჩამოვაშორეთ შსს-ს.

მედია სრულად გათავისუფლდა ხელისუფლების კონტროლისგან.

ბიზნესმა მოიშორა სახელისუფლო წნეხი.

ფაქტობრივად ყველას, ვისაც ამის სურვილი და საფერმერო მეურნეობის ჩამოყალიბების რეალური პროექტი აქვს, სახელმწიფო უზრუნველყოფს გრძელვადიანი უპროცენტო სესხებით.

წინა ხელისუფლების დროს სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებული პაციენტებისთვის, ჩვენი მოქალაქეები ახლობლების გადასარჩენად იძულებულნი იყვნენ, სახლ-კარი გაეყიდათ და სესხები აეღოთ, ამის ნაცვლად ჩვენ შემოვიღეთ საყოველთაო დაზღვევა და ყველასთვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა. ხორციელდება მსოფლიოში უნიკალური პროგრამა და C ჰეპატიტისგან უფასოდ განიკურნება ათასობით ჩვენი თანამოქალაქე. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერა მიიღო 1 მილიონ 600 ათასმა ადამიანმა.

დღეს მთავრობის ეფექტიანობის რეიტინგით საქართველო რეგიონში ლიდერია და, გარდა ამისა, მთელი რიგი მაჩვენებლებით უსწრებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს.

ყოველგვარი პოლიტიკური დათმობების გარეშე შევძელით ქართული პროდუქციისთვის გაგვეხსნა რუსული ბაზარი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ენერგეტიკული პროექტების მოცულობა:

• 2013–2015 წლებში ენერგეტიკაში 2 მილიარდ 506 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. უკვე შევიდა ექსპლუატაციაში 523 მილიონი დოლარის ღირებულების 14 ჰიდრო და 1 თბოელექტროსადგური.

• უახლეს მომავალში ექსპლუატაციაში შევა კიდევ ექვსი ჰიდროელექტროსადგური, მათ შორის–416 მილიონი დოლარის ღირებულების „შუახევჰესი“. დაიწყო „ნენსკრაჰესის“ მშენებლობა, რომლის საინვესტიციო ღირებულებაც 1 მილიარდი დოლარია.

საგრძნობლად იმატა ინფრასტრუქტურული მშენებლობის ტემპმა. მაგალითად, წელიწადში საშუალოდ 2,5-ჯერ მეტი ავტობანი შენდება, ვიდრე - წინა ხელისუფლების დროს.

აღნიშნული პოზიტიური ტენდენციები განსაკუთრებით აღსანიშნავია იმ ფონზე, როცა რეგიონის თითქმის ყველა ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი მოხდა.

დასკვნით ფაზაში შევიდა ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსების პროექტი.

განსაკუთრებული ზრუნვის საგნად რჩებიან ადამიანები, რომლებიც რუსეთის აგრესიისა და საპასუხო გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგად საკუთარ სამშობლოში დევნილებად იქცნენ. მთავრობამ დაიწყო დევნილთათვის ბინების აშენება, სახლების

ვები ლამის გენეტიკურ კოდში გვაქვს ჩაწერილი.

ქარი გვარხევს, მაგრამ, ურთულეს რეგიონში ცხოვრებით შეძენილი გამჭრიახობის წყალობით, ვერც გვტეხს და ვერც ადგილიდან გვძრავს. კომპრომისის ძიება, როცა საჭიროა– დათმობა, როცა საჭიროა–მტკიცედ დგომა, ჩვენი ცხოვრების წესად და გეოპოლიტიკურ ლაბირინთებში საიმედო გზამკვლევად იქცა.

სამაგალითოა ქართველების და ებრაელების ოცდაექვსსაუკუნოვანი ძმობა და თანაარსებობა და ამაზე მხოლოდ ჩვენ არ ვლაპარაკობთ.

ჩვენი ხასიათისთვის სრულიად უცხოა და მიუღებელი სხვისი სიწმინდეების შეურაცხყოფა, რელიგიური შეუწყნარებლობა და ადამიანის

ფალ გარემოს უკავშირდება, ცხადია ისიც, რომ ევროკავშირთან და ევროატლანტიკურ სივრცესთან ინტეგრაცია, ნატოს წევრობა, საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ჩვენთვის კითხვები არ არსებობს .

ჩვენი სახელმწიფოს საგარეო კურსი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა თავისუფალ არჩევანს, რომელიც ემყარება ისტორიულ და ფასეულობრივ კავშირს დასავლურ სამყაროსთან.

დღეს საქართველო რეგიონში ლიდერი ქვეყანაა დემოკრატიის განვითარებისა და ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით. საქართველოს ბიზნესგარემო საუკეთესოა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა და ფართების დაკანონება.

მოქალაქეები ეჩვევიან პოლიტიკურ თავისუფლებებს, მათ აღარ ეშინიათ საკუთარი კრიტიკული აზრის თუ უკმაყოფილების გამოხატვისა.

მთავრობამ რეალური ნაბიჯები გადადგა ევროპასთან ინტეგრაციის მიმართულებით–გაფორმდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რითაც ქართველ მეწარმეებს ევროპის ხუთასმილიონიან ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა მიეცათ. გაიხსნა საქრთველოში პირველი ნატო-საქართველოს ერთობლივი სასწავლო ცენტრი. მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება და ჩვენი მოქალაქეები ძალიან მალე ევროპაში უვიზოდ მიმოსვლას შეძლებენ.

საქართველო უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე დგას–ჩვენ თავიდან ვსწავლობთ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრებას, ვეჩვევით დემოკრატიას და საბაზრო ეკონომიკას, ზოგადად თავისუფლებას.

ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია მომავლის წინაშე და დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება სიფრთხილე, რათა არ დავუშვათ შეცდომა, რომელიც იმ ტირანიაში დაგვაბრუნებს, დიდი გაჭირვებით რომ დავაღწიეთ თავი.

მართებული კი მხოლოდ ის გადაწყვეტილებაა, რომელიც გვაახლოებს ჩვენი ქვეყნის უმთავრეს სტრატეგიულ მიზანს–თავისუფლებას, უსაფრთხოებას, თვითმყოფადობას, კეთილდღეობას და მსოფლიო პროგრესის პროცესში ჩართულობას!

რამდენად მივაღწევთ მიზანს, დამოკიდებულია ორ ფაქტორზე–როგორი ტიპის სახელმწიფოს ავაშენებთ და რა საგარეო ორიენტირები ექნება ჩვენს ქვეყანას.

ყველა ერს აქვს რაღაც განსაკუთრებული თვისება, გამორჩეული შესაძლებლობა, რისი მეოხებითაც იგი წარმატებას აღწევს. ეს შეიძლება იყოს–ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, ბუნებრივი წიაღისეული, ადამიანური რესურსი, შრომისმოყვარეობა, ტექნოლოგიური მიღწევები და ა.შ. საქართველოსთვის ასეთ საყრდენ ფენომენად მესახება მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი კულტურა და ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე დიდ იმპერიებს შორის ცხოვრების უნიკალური გამოცდილება, რომლის წყალობითაც თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და პროგრესისკენ სწრაფვის უნარ-ჩვეთნიკური ნიშნით დამცირება.

ეთნიკური ნიშნით დამცირება.

კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მცდელობები, თავს მოგვახვიონ პოლიტიკური თუ რელიგიური რადიკალიზმი, აგრესია განსხვავებული აზრისა თუ ცხოვრების წესის გამო, განადგურებით ემუქრება ჩვენი არსებობის საფუძველებს. ამიტომ ნებისმიერი ასეთი გამოვლინების მიმართ განსაკუთრებული სიფხიზლე და შეურიგებლობა გვმართებს.

ამ ოთხი წლის განმავლობაში შევძელით, გვერდი აგვევლო გეოპოლიტიკური საფრთხეებისთვის, გავალმავეთ ურთიერთობა მეგობრებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან და ამ დაბალანსებული და მშვიდი პოლიტიკის შედეგია, რომ მიუხედავად რეგიონში არსებული მწვავე კრიზისისა, საქართველოში იზრდება ტურიზმიც და მთლიანად ეკონომიკაც.

დღეს ჩვენი ეკონომიკა ექვსჯერ ჩამორჩება საშუალო ევროპულს და ამით გამოწვეული პრობლემების გამო ხშირად მიჩქმალულია და მტვერდადებულია საუკუნეების წრთობით ჩამოყალიბებული ქართული ხასიათის მთავარი საზრისი, გაიხაროს სხვისთვის ბედნიერების მინიჭებით. ეჭვი არ მეპარება, რომ სულ რაღაც 10-15 წელიწადში ჩვენი ეკონომიკა ევროპულის მსგავსი იქნება. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როდესაც ორიენტირად 2030 წელი ავიღე და საზოგადოება „2030“ დავაფუძნე.

აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივა რეალური გახდება მხოლოდ და მხოლოდ მაღალ ღირებულებეზე დაფუძნებულ და ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, რომელიც მიმზიდველი და საინტერესო უპირველესად ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისათვის უნდა იყოს.

ავტორიტარიზმში დაბრუნება ჩვენთვის მხოლოდ პოლიტიკური კი არა, კულტურული და მენტალური ტრაგედიაც იქნება, ვინაიდან ავტორიტარიზმი ძალადობას ეფუძნება, მისთვის მიუღებელია პოლიტიკური, რელიგიური და საზოგადოებრივი მრავალფეროვნება და ნულოვან ტოლერანტიზმს ამკვიდრებს.

საქართველოს განვითარების და კეთილდღეობის ერთადერთი საფუძველი თავისუფლება, დემოკრატია და ტოლერანტობაა და ჩვენი ყველა გადაწყვეტილება ამ აქსიომას უნდა ეფუძნებოდეს!

ვინაიდან ჩვენი კეთილდღეობა მხოლოდ დემოკრატიას და თავისუფლების მოთხოვნებსაც ყველაზე უკეთ ჩვენ ვაკმაყოფილებთ.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელიც არის საქართველოს დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი გარანტი და მხარდამჭერი.

ჩვენი სტრატეგია გულისხმობს მეგობრული ურთიერთობების დამყარებას ყველა მეზობელ და არამეზობელ ქვეყანასთან.

ყველაფერს გავაკეთებთ, რათა საქართველოს ინტერესების შეულახავად შევძლოთ ურთიერთობის ნორმალიზება რუსეთთან, გავაღრმავებთ კავშირებს მნიშვნელოვან პარტნიორებთან და მეგობრებთან–თურქეთთან, აზებაირჯანთან, სომხეთთან; საინტერესო თანამშრომლობას ვიწყებთ ირანთან; საქართველო აქტიურად მონაწილეობს უზარმაზარი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალის მქონე აბრეშუმის გზის პროექტში. რამდენიმე დღის წინ გაფორმდა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც გერმანიის რკინიგზა, საქართველოს გავლით, ჩინეთს დაუკავშირდება. ამით კიდევ უფრო გამოკვეთება ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქცია, იყოს სატრანსპორტო დერეფანი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

დღეს ნამდვილად გვაქვს თავისუფალი არჩევანის საშუალება, ვერც დაგვაშინებს ვინმე და ვერც ხმებს მოგვპარავენ, თუმცა, ეს საკმარისი არ არის, რადგან სწორი არჩევანი მხოლოდ ინფორმირებულ ამომრჩეველს შეუძლია, ამ მიმართულებით კი სერიოზული პრობლემებია.

ქვეყანაში ფიზიკური ძალადობა დასრულდა, მაგრამ გრძელდება პროპაგანდით და სიცრუით ძალადობა, რაც, შეიძლება, გაცილებით მეტადაც კი აზიანებდეს საზოგადოებას.

დღეს მედია გახსნილია, ადამიანებმა თავად უნდა გამოიტანონ დასკვნები, რასაც სათანადო გამოცდილება სჭირდება და რაც ჯერ აკლია ჩვენს საზოგადოებას. მიუხედავად ამისა, სააკაშვილის პროპაგანდას და ცილისწამებას ჩვენ ძალადობით და აკრძალვით კი არ ვუპასუხებთ, არამედ–ანალიზით და მოვლენებისათვის სახელის დარქმევით.

როცა პოლიტიკაში მოვედი, მე იმედი მქონდა, რომ ჩვენი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ალღო არ გვიღალატებდა, არ დავიბნეოდით და სწორი არჩევანით ვუპასუხებდით მოძალადე მთავრობას. სინამდვილეში ასეც მოხდა და ქართულმა ოცნებამ გაიმარჯვა.

წელს მთელი საზოგადოება პოლიტიკური სიმწიფის გამოცდას ვაბარებთ. ადრე თეთრსა და შავს შორის ვირჩევდით, დღეს უკვე ბევრი ფერია, გაჩნდა არჩევანის თავისუფლება–ყველა საკუთარ სიმართლეს ამტკიცებს, ყველა საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობს. ამიტომ, გაცილებით რთულია მართებული არჩევანის გაკეთება.

არასდროს მიტრაბახია საქველმოქმედო პროექტებით თუ წამოწყებებით, მაგრამ, ვინაიდან, ამდენი ცილისწამება მოედინება, იმისათვის, რომ ჩემს თანამოქალაქეებს ზუსტი ინფორმაცია და შესაბამისად მართებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალება ჰქონდეთ, კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ არანაირი ბიზნესინტერესი საქართველოში არ მაქვს. ყველა ის პროექტი, რომელსაც ვახორციელებ, მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო სანდო და საინტერესო გახდეს ინვესტორებისთვის, უფრო მიმზიდველი - ტურისტებისთვის, ეს ყველაფერი ძალიან ადვილად შესამოწმებელია.

ჩვენ ახლა ვიმყოფებით განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზე, როდესაც თითოეულმა მოქალაქემ დამოუკიდებლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა გააკეთოს არჩევანი. ეს კი ძალიან დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს.

ჩემი ეს წერილიც და სატელევიზიო გამოსვლებიც, რომლებსაც წინასაარჩევნოდ ვგეგმავ, იმ მიზანს ემსახურება, რომ ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ, თანამოქალაქეებს შევთავაზო მოვლენების ჩემეული ანალიზი, თუ რატომ უნდა დავუჭიროთ მხარი „ქართულ ოცნებას“ და ამ პარტიის თავმჯდომარეს გიორგი კვირიკაშვილს, რომელიც ნამდვილად გამოირჩევა ერუდიციით, წესიერებით, შრომისმოყვარეობით და სწორედ ისეთი ევროპული ყაიდის, გაწონასწორებული და პრინციპული ლიდერია, როგორიც დღეს სჭირდება საქართველოს.

ყველა ადამიანს უყვარს თავისი სამშობლო და არც მე ვარ გამონაკლისი. შეძლებისდაგვარად მეც ვემსახურები ქვეყანას, ამასთანავე, ვფიქრობ, ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად მაქვს მოვლენების მართებული ანალიზის უნარი, რითაც წარმატებას მივაღწიე როგორც ბიზნესში, ასევე - ქვეყნის ტირანიისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლაში და რაც, შეიძლება, მომავალშიც გამოადგეს ჩემს ქვეყანას.

არავითარი სხვა მოტივი არ მამოძრავებს–არც ხელისუფლებაში მოსვლისთვის ვიბრძვი, რაც დავამტკიცე კიდეც, არც რაიმე თანამდებობა მიზიდავს და არც მატერიალურ გამორჩენას ველი. მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით არანაირი პირადული გეგმები ან მიზნები არ გამაჩნია. ჩემი ერთადერთი ფიქრი ის არის, რომ უახლოეს 10-15 წელიწადში კეთილად დავაგვირგვინოთ ის საქმე, რომელსაც ჩვენი წინაპრები საძირკველს საუკუნეების განმავლობაში უყრიდნენ და თქვენთან ერთად მეც და ჩემს ოჯახსაც გვიხაროდეს საქართველოში ცხოვრება.

სწორი არჩევანის შედეგად 2012 წელს ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება! დღესაც ჩვენი ისტორიული გამოცდილების და ალღოს იმედი მაქვს!

***ბიძინა ივანიშვილი***

*30 მაისი, 2016 წელი*

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ქვესადგური „ხორგას“ მშენებლობა დასრულდა



საქართველოს ვიცე–პრემიერი, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ რეაბილიტაციის მმართველი/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე სულხან ზუმბურიძე, საქართველოში „აზიის განვითარების ბანკის“ მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორი (ADB) იეშიმ ელჰან-კაიალარი და სამეგრელო - ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილე კახაბერ რუსია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია ხობის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში ქვესადგურ „ხორგას“ მშენებლობის დასრულებისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ.

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში, ქვეყნის ენერგეტიკისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ახალი, 220/110 კვ-ანი ქვესადგურის „ხორგა“ მშენებლობის პროექტი 2015 წლის ივლისში დაიწყო. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განხორციელდა 220/ 110ll კვ. ქვესადგურის მშენებლობა, რამაც გააძლიერა დასავლეთ რეგიონის უმნიშვნელოვანესი კვანძი „ვარდნილჰესი-ზუგდიდი-მენჯი-ხორგა-ფოთი-ბათუმი“.

პროექტი „აზიის განვითარების ბანკი“-ს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 11,9 მლნ ევრო შეადგინა. სამშენებლო სამუშაოებს ავსტრიული კომპანია „Siemens“-ი აწარმოებდა. პროექტის განხორციელებისას დასაქმებული იყო ადგილობრივი მოსახლეობა. ქვესადგურ „ხორგა“-ს მშენებლობა ქვეყნის ენერგეტიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის გადაცემის სიმძლავრის გაზრდას.

## შეხვედრა „მობილური ექსტენცია რეგიონებში“ პროექტის ფარგლებში



3 ივნისს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის და სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ წარმომადგენლებმა, ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, „მობილური ექსტენცია რეგიონებში“ პროექტის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურისა და შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან საკონსულტაციო სახის შეხვედრები გამართეს. შეხვედრებზე ფერმერებს კონსულტაცია გაეწიათ შემდეგ საკითხებზე:

1. მესაქონლეობა : ვეტერინარიის საკითხები, ჯიშთა გაუმჯობესება, საქონლის გამოკვება;
2. თხილის მავნებლები და მათთან ბრძოლა, სუბტროპიკული კულტურების მავნებელ-დაავადებებთან ბრძოლა;
3. მეფუტკრეობა: ფუტკრის მოვლა-შენახვის თანამედროვე მეთოდები. დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა.

ასევე, ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებმა ფერმერებს მიაწოდეს ინფორმაცია სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროგრამებსა და პროექტებზე. მონაწილეებს დაურიგდათ გაზეთები და საინფორმაციო ბუკლეტები.

გასვლითი ტურები პერიოდულად საქართველოს ყველა რეგიონში იმართება და მისი მიზანია საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება და აგრარულ სფეროში დასაქმებულთა ცოდნის ამაღლება.

## ბიაში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა



ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა წყალმომარაგების ქსელის მეწყრული პროცესებით დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

წყალმომარაგების ქსელის ორ - 1600მ. და 2500 მ. უბანზე ჩატარდა ჰიდრავლიკური ტესტირება, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია ქსელში ნორმით გათვალისწინებული წნევით წყლის მიწოდება, ასევე განხორციელდა წყლის სისტემის დეზინფექციასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

## ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



ხობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით განსახორციელებელი სამუშაოები მიმდინარეობს.

ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში ხორციელდება საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია, ამ ეტაპზე რეაბილიტაციის მეორე ეტაპი დასრულებულია, აღნიშნულ შენობაში გამოიცვალა კარ-ფანჯრები, იატაკზე დაიგო ლამინირებული პარკეტი, შენობის პირველ სართულზე კიბის უჯრედის იატაკისა და კიბის ბაქნები კერამიკო ხაოიანი ფილებით მოეწყო, ასევე შესრულებულიქნა სამღებრო სამუშაოები, მოეწყო სველი წერტილები, განხორციელდა ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები. უახლოეს მომავალში დაგეგმილია მესამე ეტაპის სამუშაოების განხორციელება, რის შემდეგაც შენობის სრული რეაბილიტაცია დასრულდება. აღნიშნულ სამუშაოებს ახორციელებს ინდმეწარმე დათო ადამია.

მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ და მუნიციპალიტეტისქვემო ქვალონის მაჟორიტარმა საკრებულოს დეპუტატმა ტარიელ ალექსანდრიამ ერთობლივად დაათვალიერეს.

## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე



1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნიამ, საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ტარიელ ალექსანდრიამ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხობის მუნიციპალიტეტის შუა ხორგის, პირველი მაისისა და ხამისკურის საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებს მიულოცეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე და საჩუქრები გადასცეს. საჩუქრები ასევე გადაეცათ ხობის მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებსაც.

## ღია საუბრები ღია სივრცეში



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ედიშერ ჯობავას ინიციატივითა და საკრებულოს აპარატის ორგანიზებით, შედგა შეხვედრა ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს წევრებთან სახელწოდებით „ღია საუბრები ღია სივრცეში“.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრებმა, საკრებულოს აპარატისა და გამგეობის თანამშრომლებმა, ახალგაზრდული საკრებულოს რეგიონალურმა მენეჯერმა ელენე დარასელიამ და ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა ბენდმა „ახალგაზრდული ხმები“ ლაშა კვიკვინიას ხელმძღვანელობით. შეხვედრის უმთავრესი მიზანი იყო ახალგაზრდებისგან გაეგოთ აზრი იმ საკითხების შესახებ, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან უპირატეს გადაწყვეტას მოითხოვს. „ჩვენ გვქონდა გულღია საუბრები ახალგაზრდებთან, ვისაუბრეთ სხვადასხვა თემებზე, ახალგაზრდებს გავაცანით ჩვენი სამოქმედო გეგმები, მოვისმინეთ მათი შეხედულებები. აღმოჩნდა რომ გვაქვს ბევრი საერთო შეხების წერტილები. მომავალშიც ვგეგმავთ უფრო მაშტაბური ხასიათის შეხვედრა გავმართოთ ახალგაზრდებთან, რათა უფრო მჭიდრო კონტაქტი გვქონდეს მათთან და მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათი მოსაზრებები ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში“ - აღნიშნა ედიშერ ჯობავამ.

დასასრულს ახალგაზრდული საკრებულოს წევრების მხრიდან დაისვა მათთვის საინტერესო კითხვები, რაზეც ამომწურავი პასუხები მიიღეს.

# სამუშაოები ჯერაც ბევრია

**თუ რა სამუშაოები შესრულდა და რა კეთდება სამომავლოდ ხობის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის მიმართულებით გვესაუბრება ამ სამსახურის უფროსი ზაზა ბუკია.**



***თქვენი სამსახურის ფუნქციებზე გვესაუბრეთ?***

–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური წარმოადგენს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქთმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებას, მშენებლობასა და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას.

***რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა წლის დასაწყისიდან დღემდე, ანუ, სად, რა გაკეთდა?***

–2016 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებულიქნა 5 პროექტი საერთო თანხით–2 550,00 მილიონი ლარი. კერძოდ: ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულსა და ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭითაუშქურში წყალსადენი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოიყო 600,00 ათასი ლარი.

ხობის №1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის–600,00 ათასი ლარი.

კულტურულ საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნა 1 მილიონი ლარი (ობიექტი არის გარდამავალი). მათ შორის 2016 წელს, 500 ათასი ლარი.; 2017–წელს 500,00 ათასი ლარი.

ქალაქ ხობში ქუჩების (ლოლუას, გურამიშვილის, ჯავახიშვილის, ვეკუას, მშვიდობის) კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოებისთვის გამოყოფილია–600 ათასი ლარი.

ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის აღდგენისთვის გამოიყო 500 ათასი ლარი (ობიექტი არის გარდამავალი). მათ შორის 2016 წელს–250 ათასი ლარი. 2017 წელს 250 ათასი ლარია გათვლილი.

ზემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის წყალმომარაგება; ხობის №1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები და .ქალაქ ხობში ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოები უკვე მიმდინარეობს, რაც შეეხება ცენტრალურ სტადიონსა და კულტურის სახლს, ტენდერები ტარდება.

ამას გარდა, 2015 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაზე გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე გურიფულში მიმდინარეობს ნაპირსამაგრი სამუშაოები. პროექტის ღირებულება შეადგენს 918,50 ათას ლარს.

***ძირითადად ვინ ასრულებს აღნიშნულ სამუშაოებს, ადგილობრივი მეწარმეები თუ ტენდერში გამარჯვებული სხვა კომპანიები? აღნიშნულ სამუშაოებში თუ არიან დასაქმებულები ადგილობრივი მცხოვრებლები?***

–აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებენ ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ მათ ძირითადად დასაქმებული ჰყავთ ადგილობრივი მაცხოვრებლები.

***სხვა სამუშაოები, რომლებიც თქვენი სამსახურის მიერ ხორციელდება?***

–სამსახური ზედამხედველობას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობებს, კერძოდ, მომზადებულ და გაცემულიქნა შესაბამისი დოკუმენტაცია მშენებლობის ნებართვაზე–6 ერთეული, მშენებლობის თანხმობაზე–16, გამოვლინდა 2 არქიტექტურულ-სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტი, რის გამოც მშენებლობის მწარმოებლების მიმართ გამოყენებულიქნა კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები.

სამსახური კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის რეგულირებას. კერძოდ, სამსახურის წინადადებით საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და ხობის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მგლის 6 და ტურის 10 ინდივიდის ბუნებიდან ამოღების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, შეიქმნა მონადირეთა 9 ჯგუფი. გატარებული ღონისძიებების შედეგად ამოღებულიქნა მგლის ერთი ინდივიდი.

***როგორ გესახებათ თქვენი სამსახურის მიერ გასაკეთებელი სამუშოების ნუსხა, ანუ თქვენი სამომავლო გეგმები, რა დგას დღის წესრიგში?***

–გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ გასაკეთებელ საქმეთა ნუსხა ასე გამოიყურება, ანუ 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვის სამუშაოებისთვის დაიხარჯება –59.90 ათასი ლარი. (მიმდინარეობს სამუშაოები).

მუნიციპალიტეტის მინი სტადიონების მოვლა-შენახვის სამუშაოებისთვის გამოყოფილია 14,39 ათასი ლარი.

ქვემო ქვალონის ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის–33,51 ათასი ლარი.

ქალაქ ხობში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად 129928 ლარია გათვლილი.

ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მეწყრული პროცესებით დაზიანებული მონაკვეთის სარემონტო სამუშაოები 1400 ლარს ითვალისწინებს.

ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის სარეაბილიტაციო და ეზოს შემოკავების სამუშაოებში 30 596 ლარის სამუშაოები ჩატარდება.

ქალაქ ხობში ცოტნე დადიანის ქუჩაზე საგადასახადო შენობის ფასადის, მიმდებარე ტერიტორიის, ბილბორდის, წარწერების, სკვერისა და დეკორატიული ღობის სარემონტო სამუშაოებისთვის 29668 ლარია გათვალისწინებული.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 848 311 ლარითაა დაფინანსებული.

***ესაუბრა ნანი კილასონია***



ქვემო ქვალონი–საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები



ზემო ქვალონი–წყალმომარაგების სამუშაოები



გურიფული–ნაპირსამაგრი სამუშაოები



ქ. ხობი–№1 საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები



ქ. ხობი–გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები

## ინტერვიუ



### ნომრის სტუმარი გახლავთ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის დირექტორი ლუარა ყალიჩავა

# მომავალი ცოდნით მიიღწევა

***რა მოსაზრებები გაქვთ რესპუბლიკის განათლების სისტემაში გატარებულ რეფორმებზე?***

–განათლების სისტემის რეფორმა მნიშვნელოვანი ეტაპია სასკოლო ცხოვრებაში. იგი უკვე გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. გავიარეთ რეფორმის დანერგვის წლები და დაიწყო მონიტორინგი. მიმაჩნია, რომ რეფორმამ სასკოლო ცხოვრება გარკვეულწილად გააჯანსაღა. სკოლებში დაამკვიდრა მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების პრინციპები. დღეს მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა გაცილებით მეტია, ვიდრე ცუდ ქცევასთან ეფექტური გამკლავება. რეფორმა აერთიანებს ისეთ მიდგომებს, რომლებიც უნარების შინაარსს უკავშირდება. უკვე აღარ არის საკმარისი „იცოდე საგანი“, უფრო მნიშვნელოვანია ცნობისმოყვარეობით იყო აღსავსე ამ „საგნის მიმართ“. განათლების რეფორმის შედეგებით მოსწავლეებს უნდა გამოუმუშავდეთ სამი ძირითადი უნარი: შემოქმედებითობა (კრეატიულობა), კომუნიკაცია და თანამშრომლობა. მეცნიერების გაგებით, რეფორმით მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა შეძლონ გაუთვალისწინებელი მოვლენების არსის აღქმა და შესაბამისად, მოქმედება. ფორმალური სასკოლო განათლების დასრულების შემდეგ უნდა გამოირჩეოდნენ თვით დისციპლინით, რაც მათ მიზნის მისაღწევად დასჭირდებათ, ეთიკური და მორალური პრინციპების ცოდნით, შესაძლებლობით გონივრულად გამოიყენონ ტექნოლოგიები.

***კონკრეტულად, რეფორმიდან რომელი მუხლია თქვენთვის ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი, ან მიუღებელი?***

–მიმაჩნია, რომ დასახვეწია შეფასების სისტემა, გრიფირებული სახელმძღვანელოები; სასკოლო ბადის მოცულობა გადატვირთულია (ზოგიერთ კლასებში 33-35 აკადემიური საათია კვირეული დატვირთვა), შესაცვლელია ვაუჩერული დაფინანსების მოდელი. სკოლა უნდა იყოს ორიენტირებული არა მოსწავლეთა რაოდენობაზე, არამედ სწავლების ხარისხზე. საშუალო საფეხური უნდა დაკომპლექტდეს მხოლოდ იმ მოსწავლეებით, რომლებსაც ექნებათ მაღალი შინაგანი მოტივაცია და აკადემიური მოსწრება, ხოლო დანარჩენებს საშუალება უნდა მიეცეთ, სწავლა გააგრძელონ სახელობო სასწავლებლებში.

მიმაჩნია, რომ უფრო გაამართლებს გამოცდების 8+1 მოდელი სელექციური ტესტებით.

***ცოტა რამ სკოლის ისტორიიდან: როდიდან არსებობს, ვინ იყვნენ ცნობილი პედაგოგები... ამჟამად რამდენი მასწავლებელია (მათ შორის რამდენია სერთიფიცირებული და ვინ არიან ისინი), რამდენი მოსწავლე სწავლობს?***

–1921 წელს დაარსებული სკოლა 4 ოთახისგან შედგებოდა. აქ პირველი გაკვეთილები ჩაუტარებიათ პლატონ დანელიას და ალექსანდრე ქუთათელაძეს.

1922-23 წლებში სკოლის გამგე იყო აგრაფინა იოსავა.სხვადასხვა დროს სკოლის დირექტორები იყვნენ: საშა ალანია, ილია მირცხულავა, ამბროსი ჯაიანი, ცაცა დალაქიშვილი და მარიამ ნაროუშვილი.

1963 წელს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, ჩვენი სკოლის პედაგოგის, ბატონ კირილე ლაგვილავას ძალისხმევით აშენდა სკოლის 2 სართულიანი შენობა.

–ამჟამად სკოლაში 26 პედაგოგია, მათ შორის სერთიფიცირებულია 3 მასწავლებელი (ირინა ვარდიშვილი,შორენა ყალიჩავა, ონისე ცქიტიშვილი. საგნობრივი გამოცდა ჩაბარებული აქვს რამოდენიმე მასწავლებელს). სკოლაში 250-მდე მოსწავლე სწავლობს.

***რას გვეტყვით ახალი სკოლის მშენებლობაზე. რა პროცესშია და როდის დამთავრდება?***

–2016-17 სასწავლო წელს დაგეგმილია ახალი სკოლის მშენებლობა, რომელიც 320 მოსწავლეზეა გათვლილი. პროექტის საბალანსო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 4 მილიონ ლარს. რომ არა უამრავი ადამიანის: ბატონების გოდერძი ბუკიას, გოჩა ქაჯაიას, ვარაზი გაბედავას, ქალბატონ ხათუნა გერგაიას ძალისხმევა და მონდომება, სკოლის პროექტირება შეიძლება შეჩერებული ყოფილიყო მიწის ნაკვეთების შეძენასთან წარმოშობილი პრობლემების გამო.

სკოლა იქნება ევროპულ სტანდარტებზე აგებული და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი.

ახალი სკოლის მშენებლობას სამ ათეულ წელზე მეტია მოთმინებით ელოდება სოფლის მოსახლეობა.

***შარშან რამდენმა მოსწავლემ დაამთავრა სკოლა, რამდენი მოეწყო უმაღლეს სასწავლებლებში. გყავდათ მედალოსნები? წელს არიან მედლის კანდიდატები?***

–გასულ სასწავლო წელს საშუალო საფეხური დაამთავრა 18-მა მოსწავლემ. უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 6 მოსწავლე. გვყავდა 2 ოქროსა და ერთი ვერცხლის მედალოსანი. მიმდინარე სასწავლო წელს გვყავს სამი ოქროს და ორი ვერცხლის მედლის კანდიდატი.

***კიდევ რა კრიტერიუმებში გამოიჩინა თავი თქვენმა სკოლამ?***

–სკოლაში მოღვაწეობს ამერიკელი მოხალისე პედაგოგი. ივლისის თვეში სკოლის ორი მასწავლებელი მივლინებულია საზღვარგარეთ სტაჟირებაზე. ინგლისური ენის პედაგოგი, ქალბატონი ნანა ლიტვინენკო ტრენერების სტაჟირებას გაივლის აშშ-ს ვერმონტის შტატში პროგრამით–„მსოფლიო ხედვა“. გერმანული ენის მასწავლებელი ირინა ვარდიშვილი–გერმანიაში შვებიშ-ჰალში პროგრამით–„პროექტებით სწავლება უცხო ენის გაკვეთილზე“.

სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებსა და კონკურსებში „კინგსი“, „ლონდონ სქული“, „კენგურუ“, მართლწერის კონკურსში ორი მოსწავლე გავიდა ფინალში, „ალიანტეს“ მეორე ტურში გადავიდა 3 მოსწავლე.

***გამორჩეული, ანუ პოზიტიური მოსწავლეები, რაში არიან წარმატებულები?***

–გვაქვს მდიდარი სპორტული ტრადიცია და წარმატებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში: მაგიდის ჩოგბურთი, მძლეოსნობა. ჭიდაობა ძიუდოში გვყავს რესპუბლიკის პრიზიორები. სკოლას აქვს თავისი ნიშა „ჩვენ წრეზე არ ვბრუნავთ, გათელილ გზებზე არ ვივლით, უჟმური და უკარება ჟინი გვმართავს წინსვლისა“.

***ესაუბრა***
***ნანი კილასონია***

## ბოლო ზარი

# „გაფრენილა სიყმაწვილე შფოთიანი“...

მიიწურა სასწავლო წელი. მეთორმეტე კლასელებისთვის „ბოლო ზარი“ დაირეკა... ამ დღესთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის მე-2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებმა თეატრის სცენაზე ღონისძიება მოაწყვეს, სადაც მოსწავლეებს გამოემშვიდობნენ მათი მასწავლებლები, უმცროსკლასელები და სკოლის ადმინისტრაცია. მოსწავლეებმა გაიხსენეს სკოლაში გატარებული დრო სხვადასხვა მასწავლებლების საყვედურები, ჩაშლილი გაკვეთილები, ზეიმები...

ბოლოს ბაშვებმა სცენაზე მასწავლებლები და დირექტორი ნანა ქვარაია იხმეს, კურსდამთავრებულებმა თბილი და სევდანარევი სიტყვებით გადაუხადეს მადლობა მათ გაწეული ღვაწლისთვის, იმ სითბოსა და სიყვარულისთვის რაც მათ ამ წლების მანძილზე გასწიეს მათ წინაშე: „რა ლამაზი იყო ეს ყველაფერი დარა და-






წლებში გადაღებული ფოტოებით. წარმოადგინეს სკეტჩები. სევდანარევი სიხარული იგრძნობოდა მათ თვალებში, ენანებოდათ ბავშვობის ლამაზ და უზრუნველ წლებთან გამომშვიდობება, მაგრამ სიხარული უფრო მეტია, მათ ცხოვრების ახალ საფეხურზე გადააბიჯეს, წინ შეუცნობელი სამყარო ელით, სადაც უკვე არავინ ჩათვლის მათ ბავშვებად, სადაც უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, ვიდრე აქამდე და უფრო რთული და საინტერესო ცხოვრებისეული ბარიერები აქვთ გადასალახი.

მათი ყურებისას ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ერთმანეთის ცქერით თითქოს პატარაობა ახსენდებათ–როგორ მივიდნენ სკოლაში, როგორ გაიცნეს ერთმანეთი, როგორ გამოიყურებოდნენ...

არც პირველი მასწავლებლებლების შემოგებება დავიწყებიათ-თბილი, მოსიყვარულე, მუდამ მოწესრიგებული და ამასთანავე მკაცრი და მომთხოვნი იყვნენო... დამრიგებელი რომელიც ამ წლების მანძილზე გვერდში ედგათ... სხვა მასწავლებლებიც არ დაავიწყდებათ. ყველაზე ხალისით იმას იხსენებნ, ვისაც უფრო მეტად აწვალებდნენ და „სისხლს უშრობდნენ“ მთელი ამ წლების მანძილზე... გაიხსენეს ერთად გადალახული სიძნელეები, კურიოზები, ექსკურსიები, შატალოები, სანანია, რომ მთავრდება! თუმცა მოსაწყენად არ გვცალია, წინ კიდევ უფრო საინტერესო ცხოვრება გველის.

ქალბატონმა ნანა ქვარაიამ სიამაყით ისაუბრა მათ წარმატებებზე, საამაყო მართლაც, რომ არის შვიდი ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალოსანი.“გიყურებთ დაზრდილებს და გული მიჩუყდება... მინდა ყოველ თქვენგანს მოგეხვიოთ, გისურვოთ წარმატებები ცხოვრების გზაზე! ჯანსაღი ცხოვრებით გეცხოვროთ, უეკლო გზებით გევლოთ, თავად იღბალი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური, საკუთარი თავის რწმენა და სიყვარული კი არასოდეს დაგეკარგოთ მუდამ გახსოვდეთ, რომ თქვენი წარმატების საიდუმლო თქვენს ხელშია!“ დირექტორმა დარბაზს გააცნო წარმატებული კურსდამთავრებულები.

ოქროს მედალოსნები: თამთა ბებურია, ლუკა ლოლუა, იასონ პაპავა, ნატა ქირია, ნინო ქირია, მაკა ჯგერენაია, მარი ჯგერენაია.

ვერცხლის მედალოსნები: სარა ლომაია, გიორგი ლომაია, გრიგოლი ახალაია, გოჩა სიჭინავა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, წინსვლა და წარმატებები ყოფილიყოს თქვენი გზამკვლევი.

***ნინო გერგაია.***

# შეხვედრა ღვაწლმოსილ პედაგოგთან

სოფელი ხიბულა ხობიდან 22 კილომეტრითაა დაშორებული, მოწესრიგებული, მიხვეულ-მოხვეული, ასფალტირებული, „გატკიცინებული“ გზის საფარით, სოფელი მწვანე და მთიანია. ერთი თვალის შევლებით, ლამაზ ქალს ჰგავს–ცხოვრებაგადალახულ ნაშრომ–ნაჯაფს და ნაოჭებშეპარულს, ზემოდან იქედნურად დაჰყურებს მთა თითქოს მამრივით ეპატრონება. როცა ბრაზდება დანისლავს, დასეტყვავს „კაბას ჩამოურეცხავს“, როცა კარგ განწყობაზეა და თუ ამინდმაც გაამართლა, ისეთ მოსავალს იძლევა ავ



თვალს არ ენახება სიმინდი, ლობიო, სოიო, ვენახი, თხილი, ხილი...

სახელიც ძველი აქვს სოფელს. სახლების უმრავლესობაც ძირითადად ისეთია, ქვედა სართული ქვის და ზედა „სასტუმრო ზალა“ ხისგან ნაშენი „ჯანმრთელ“ სახლს, რომ ეძახიან სამეგრელოში. ხალხიც გულიანი, სტუმართმასპინძლობით გამორჩეული, ადათის მიმდევარი და პატივისმცემელი.

სოფელი თავს იწონებს გამოჩენილი და წარმატებული ადამიანებით ექიმებით, ინჟინრებით, ეკონომისტებით, პედაგოგებით, რომლებიც სხვებთან ერთად კეთილსინდისიერად და დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდნენ და ასრულებენ მათზე დაკისრებულ სამსახურეობრივ მოვალეობას. ალბათ ამიტომაცაა, რომ მათ შესახებ ხშირად იწერებოდა და იწერება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

წილად მხვდა ბედნიერება ერთ-ერთი მათგანი წარვუდგინო საზოგადოებას. ბატონი მიხეილ ბასილაია. ღვაწლმოსილი პედაგოგი, თაობათა დამფრთიანებელი, ხობის საპატიო მოქალაქე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტდამთავრებული, ხობის, ახალი და ძველი ხიბულის, საჯიჯაოს, ახალისოფლის სკოლების ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი. ხობის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის ყოფილი გამგე, შრომის ორდენოსანი, მაღალი დონის მათემატიკოსი და რაც მთავარია, შესანიშნავი ადამიანი.

გეზი ხიბულისკენ ავიღე. თან მახლდა ბატონი მიშას ყოფილი მოსწავლე და ახალი ხიბულის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი ემზარ კვირკვაია. კარი მორიდებით შევაღე, წინ სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი შემომხვდა. შინ მიგვიპატიჟა. იგი ამ ოჯახის უმცროსი შვილი ბატონი თემურ ბასილაია აღმოჩნდა.

ჩვენმა დანახვამ ბატონი მიშა ძალიან გაახარა. თვალები ბავშვივით უბრწყინავდა. დანახვისთანავე პირველად, რაც ვკითხე, ეს იყო, რით აღინიშნა მისი დამსახურება.

–გეტყვით: ჩემთვის ყველაზე საპატიოა, ის პატივისცემა და ავტორიტეტი, რითაც საზოგადოებაში ვსარგებლობ, დღესაც აქტიურად ვადევნებ თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მჯერა ხვალინდელი დღის და ჩვენი ხელისუფლების. განსაკუთრებით ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის ბატონ გოჩა ქაჯაიასი. ის შრომისმოყვარე და პატიოსან ოჯახში აღიზარდა, მისი მშობლები საუკეთესო ადამიანები იყვნენ.

რომ არა ჯანდაცვის პროგრამა, რომელსაც საყოველთაო დაზღვევა ჰქვია და ბატონი გოჩას დიდი თანადგომა, ჩემს ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდა, მათი ხელშეწყობით გავიკეთე ოპერაცია და თავს კარგად ვგრძნობ. თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა ვუთხრა მათ და იმედი მაქვს, კიდევ დიდხანს ილვაწებს ბატონი გოჩა ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ. მრავალი საინტერესო ჩანაფიქრის განხორციელებას ველოდები მისგან. მერე რა, რომ ამ ასაკის კაცი ვარ, უფლის წყალობით თვალიც მიჭრის და გონებაც.

***რაზე ოცნებობთ ბატონო მიშა?***

–ვოცნებობ „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს“ ბევრი რამ გაკეთდა: გარემონტდა სკოლები, ბაღები, სპორტული მოედნები, გზები, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ყველამ ხელჩართულად უნდა იშრომოს, რომ ქვეყანა ფეხზე დადგეს. მოხუცი ვარ, მაგრამ ვშრომობ, ვუვლი საკმაოდ დიდ მიწის ნაკვეთს, ეზოში მაქვს ვენახი და ყოველნაირი ხეხილი, მომყავს ბოსტნეული კულტურები, როცა მოვრჩები საქმეს და ჭირნახულს მოვიწევ გეპატიჟებით, მოდით, მეწვიეთ.

თვალი კედლისკენ გამექცა, სადაც ბატონი მიშას მეუღლის, დამსახურებული მასწავლებლის უბრწყინვალესი ფიზიკოსის, ქალბატონი ეთერის სურათი მიმზერდა.

გულახდილად ვიტყვი, ამ თბილ ოჯახში ქართველობის სიამაყე ვიგრძენი და იმის სურვილიც გამიჩნდა ვწერო არა მარტო ბატონი მიშას შესახებ, არამედ მის საუკეთესო შვილებზე, რომელთაც ოქროს მედალზე აქვთ დამთავრებული მშობლიური სკოლა და წარმატებული ადამიანები არიან, უფროსი შვილი ბესარიონი მოსკოვში ცხოვრობს, დოქტორია. თემური კი თბილისში ცხოვრობს პროფესიით ინჟინერია, შვილიშვილი მიშიკო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია.

დიახ, ასეთი ცხოვრებით ცხოვრობს კაცი, რომელიც ალიონიდან შებინდებამდე მხოლოდ სიკეთის ქმნაზე ფიქრობს, უხმოდ ეალერსება და თავს ევლება მის მიერ დამყნობილ თუ დარგულ მცენარეთა ხეივანს, მათი ფოთლების შრიალი უმშვენიერეს მელოდიად ჩაესმის ბუნების იდუმალი მუსიკის მოსმენით დაჯილდოებულ ხიბულელ კაცს. კარგ მამას და ბაბუას „ფასს დასდებს ბოლოს ქვეყანა, ვისაც რა დაუთესია“–ამბობს გენიალური ვაჟა ფშაველა. გავა დრო და მართლაც ოქროს ფასი დაედება ბატონი მიშას ღვაწლს.

ცხადია, ერთ პატარა საგაზეთო წერილს არა აქვს იმის პრეტენზია რომ საზოგადოებას სრულად წარმოუჩინოს ამაგდარის ცხოვრება და მოღვაწეობა, ეს მხოლოდ მცირე შტრიხია პორტრეტისთვის.

მხოლოდ ეს შევძელი, შევხვდი ღვაწლმოსილი ადამიანს და იქიდან სიბრძნით, სიყვარულით, ერთგულებით და საოცარი სტუმარ-მასპინძლობით დატვირთული წამოვედი.

სოფლის მოჭირნახულეს, ხალხისა და ერის წინაშე საზოგადოებრივი აზრის შექმნის მისიაც აკისრია. სოფელს განსაკუთრებულად უყვარს და სჯერა მისი.

კვლავ დიდხანს იყავით ბატონო მიშა შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად, ემრავლოს და ეხაროს თქვენს ჯილაგს და საუკუნეთა მანძილზე ეშრიალოს თქვენი საგვარეულოს ხის ფოთლებს.

***საუკეთესო სურვილებითა და პატივისცემით***

***ნაირა ბერაია.***

# „ადამიანი ათჯერ რომ დაიბადოს, მაინც ცხოვრების განვლილ გზას გაივლის“



***ლევან ღვინჯილია** დაიბადა 1985 წლის 15 ივნისს, ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სპეციალობით.*

*მიმდინარე წლის მარტიდან მუშაობს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსად.*

*უკეთ გაცნობის მიზნით გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.*

***ლევან, მოგვიყევით ცოტა რამ თქვენს სამსახურზე. როგორც ჩვენთვის ცნობილია, იგი სულ რამოდენიმე თვის წინ შეიქმნა.***

–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება შეიქმნა მიმდინარე წლის მარტში. განყოფილების ძირითადი ფუნქციებია: გამგეობის თანამდებობის პირების მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება; მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის დადგენილი წესით გავრცელება; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან გამგეობის ურთიერთობის ორგანიზება და ა.შ.

***თქვენ და ოჯახი...***

–მეუღლე ეკატერინე მირგატია, პროფესიით სტომატოლოგი, მაგრამ ბავშვების „გადამკიდე“ ჯერჯერობით ვერ მუშაობს. შვილები - მაკრინე, ლაზარე და ანდრია.

***თქვენი გვარის გენიალოგიის შესახებ თუ იცით რამე?***

–ჩემი წინაპრები სოფელ ლეღვინჯილედან (წალენჯიხა) ყოფილან და ახალხიბულაში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს გადმოსახლებულან.

***რომ არ ყოფილიყავით ის, ვინც ახლა ხართ, ვინ იქნებოდით?***

–ძნელი სათქმელია, მაგრამ მე კურტ ვონეგუტის „დროის რღვევის“ ნარატივის მჯერა–ადამიანი ათჯერ რომ დაიბადოს, მაინც ცხოვრების განვლილ გზას გაივლის.

***ჩემთვის ჩემი საქართველო...***

–არის ყოფიერების სახლი;

***ხართ თუ არა, მიზანსწრაფული პიროვნება?***

–დიახ, ვარ მიზანსწრაფული ადამიანი.

***რაში გამოიხატება თქვენი მიზანსწრაფულობა? მიზანი ამართლებს თუ არა საშუალებას?***

–ზოგჯერ მიზანი ამართლებს საშუალებას, ზოგჯერ კი საშუალება მიზანს.

***ბავშვობაში ყველაზე მეტად რისი სურვილი ჰქონდათ?***

–ხან ფეხბურთელობა მინდოდა, ხან კიდევ პოეტობა. ორივე სურვილმა საკუთარი კვალი დატოვა ჩემში–ფეხბურთელი არ ვარ, მაგრამ ფეხბურთის ისტორია და პერიპეტიები, სტატისტიკა ძალიან ახლობელია ჩემთვის, ვერც მწერალი გავხდი, მაგრამ ლიტერატურა მიყვარს.

***ის, რის გარეშეც ცხოვრება არ წარმოგიდგენია?***

–„ვარსკვლავებით მოჭედილი ცის და მორალური კანონი ჩემში“ გარეშე

***ყველაზე მეტად რას აფასებთ ადამიანში?***

–სწრაფვას–მარადის საკუთარ თავზე მაღლა დგომისაკენ.

***რა ადგილი უკავია წიგნს თქვენს ცხოვრებაში?***

–წიგნს არ გააჩნია თავისთავადი ღირებულება, ის მკვდარია და მკითხველმა უნდა „აღადგინოს“. ადამიანები ყველგან ეძებენ სიხარულს, ბედნიერებას და იშვიათად მიმართავენ სიამოვნების დაუშრეტელ წყაროს–ლიტერატურას. აქიდან გამომდინარე წიგნი ჩემთვის სიხარულის მომნიჭებელია.

***საყვარელი მწერალი და ნაწარმოები?***

–ნებისმიერი მკითხველისთვის ერთის შერჩევა „რთული“ საკითხია, რადგან ავტორები და წიგნები ასაკის და გემოვნების ცვლილებასთან ერთად იცვლებიან. ამ დროისათვის დიდ ინგლისელ მწერალს ჯულიან ბარნს დავასახელებდი და მის რომანებს–„დროის ხმაური“ და „ინგლისი ინგლისი“.

***რას გვეტყოდით დღეს საქართველოში გავრცელებულ ჟურნალ-გაზეთებზე?***

–საქართველოში ასეულობით დასახელების, განსხვავებული ფორმატის, შინაარსის და მიზანდასახულობის ჟურნალ-გაზეთი გამოდის. ბევრი კარგი ჟურნალ-გაზეთია, მაგალითად ‘არილი˜ და ‘ ახალი საუნჯე, მაგრამ უფრო მეტი გამოცემა უკეთესის სურვილს ტოვებს.

***რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ „ხობის მოამბეში“?***

_ „ხობის მოამბე“ არის გაზეთი, სადაც მუშაობენ კვალიფიციური ადამიანები. ვფიქრობ რომ გაზეთის პირველ გვერდზე განთავსებული ილია ჭავჭავაძის ციტატა, პირველწყაროს კონტექსტს დაშორებულია. რადგან ილიას სიტყვების კონტექსტი გულისხმობს მეფის რუსეთის შემადგენლობაში საქართველოსთვის ავტონომიის მინიჭებას. ამიტომ ვფიქრობ, რომ ციტატის კონტექსტები დაშორებულია ერთმანეთს.

***რა უნდა ახსოვდეს ყოველთვის ადამიანს?***

–სიკვდილი სიცოცხლის მერე კი არ დგება, არამედ სიცოცხლეში.

***არ იცი და გინდა იცოდე?***

–ბევრი რამე არ ვიცი, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს ვიცოდე ფრანგული ენა.

***და ბოლოს, დამისრულეთ ფრაზა, მჯერა, რომ...***

_ყველაფერი კარგად იქნება...

**ესაუბრა ნინო ბერბაია**

დოკუმენტი

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №17

2016 წლის 30 მაისი ქ. ხობი

**„ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

***საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 69-ე და მე-80 მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:***

**მუხლი 1.**

„ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №30 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.106.016179) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

**ა) 848,3 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ:**

ა.ა) 848,3 ათასი ლარით იზრდება შემოსავლები მუხლიდან „გრანტები“;.

**ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია შემდეგი გადანაწილებები:**

ბ.ა) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 15 აპრილის №01-128-02 ბრძანების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება 0,1 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „აუდიტორული მომსახურების ხარჯი“ ასიგნება და 0,1 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნება;

ბ.ბ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 19 აპრილის №01-131-02 ბრძანების შესაბამისად, ზემო ქვალონის, ქვემო ქვალონისა და პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული მოსახლეობის სასმელი წყლის ჭაბურღილების ლაბორატორიული გამოკვლევის დაფინანსების მიზნით, შემცირდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 03) 2,0 ათასი ლარით და 2,0 ათასი ლარი მიიმართა ქვეპროგრამის „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ (პროგრამული კოდი 03 02 02) ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი“ ასიგნებაზე;

ბ.გ) „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისთვის ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 აპრილის №01-137-02 ბრძანების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება 2,0 ათასი ლარით შემცირდეს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შრომის ანაზღაურება“ ასიგნება და 2,0 ათასი ლარით გადიდდა „სოციალური უზრუნველყოფა“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სოციალური დახმარება“ ასიგნება;

ბ.დ) „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 22 აპრილის №01-138-02 ბრძანების შესაბამისად, პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 848,3 ათასი ლარის ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილება: გადიდდა ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) 848,3 ათასი ლარით და შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა - 843.3 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაცია“ პროგრამის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ (03 05) ასიგნებაზე;

ბ.ე) „ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით პრიორიტეტისათვის „განათლება“ დამტკიცებული ასიგნებების პროგრამებს შორის გადანაწილების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 25 აპრილის №01-139-02 ბრძანების შესაბამისად, პრიორიტეტისათვის „განათლება“ ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილება 1,4 ათასი ლარით შემცირდა პროგრამის „სკოლამდელი განათლების დაფინანსება“ ასიგნება და 1,4 ათასი ლარით გადიდდა პროგრამის „პროფესიული განათლება“ ასიგნება;

| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 03 | **ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა** | **100.0** | **114.5** | **0.0** | **114.5** | **127.1** | **0.0** | **127.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 8.0 | 8.0 | | 8.0 | 8.0 | | 8.0 |
| | ხარჯები | 98.0 | 112.3 | 0.0 | 112.3 | 127.1 | 0.0 | 127.1 |
| | შრომის ანაზღაურება | 62.0 | 71.6 | 0.0 | 71.6 | 85.2 | 0.0 | 85.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 2.0 | 2.2 | 0.0 | 2.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 00 | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **2,569.2** | **4,121.5** | **3,573.5** | **548.0** | **5,502.8** | **4,237.6** | **1,265.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1,094.8 | 1,551.6 | 1,024.6 | 527.0 | 1,546.4 | 645.8 | 900.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,474.4 | 2,565.6 | 2,548.9 | 16.7 | 3,956.4 | 3,591.8 | 364.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 4.3 | 0.0 | 4.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 | **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)** | **744.5** | **793.3** | **771.5** | **21.8** | **631.4** | **589.9** | **41.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 20.0 | 62.2 | 40.4 | 21.8 | 61.4 | 19.9 | 41.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 724.5 | 731.1 | 731.1 | 0.0 | 570.0 | 570.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 01 | **გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა** | **744.5** | **641.6** | **619.8** | **21.8** | **631.4** | **589.9** | **41.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 20.0 | 40.6 | 18.8 | 21.8 | 61.4 | 19.9 | 41.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 724.5 | 601.0 | 601.0 | 0.0 | 570.0 | 570.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 01 02 | **ხიდების,ხიდ-ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა** | **0.0** | **151.7** | **151.7** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 21.6 | 21.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 130.1 | 130.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 | **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა--რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **987.5** | **2,039.7** | **1,527.5** | **512.2** | **2,942.2** | **1,852.5** | **1,089.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 514.1 | 698.3 | 193.1 | 505.2 | 859.1 | 0.0 | 859.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 473.4 | 1,337.1 | 1,334.4 | 2.7 | 2,083.1 | 1,852.5 | 230.6 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 4.3 | 0.0 | 4.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 01 | **გარე განათება** | **150.0** | **222.0** | **36.8** | **185.2** | **276.2** | **0.0** | **276.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 150.0 | 222.0 | 36.8 | 185.2 | 276.2 | 0.0 | 276.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 02 | **წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **16.6** | **699.2** | **672.1** | **27.1** | **653.9** | **570.0** | **83.9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 16.6 | 25.8 | 3.0 | 22.8 | 21.4 | 0.0 | 21.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 669.1 | 669.1 | 0.0 | 632.5 | 570.0 | 62.5 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 4.3 | 0.0 | 4.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 03 | **მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია** | **485.3** | **802.1** | **762.9** | **39.2** | **1,685.6** | **1,282.5** | **403.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 11.9 | 135.0 | 98.5 | 36.5 | 235.0 | 0.0 | 235.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 473.4 | 667.1 | 664.4 | 2.7 | 1,450.6 | 1,282.5 | 168.1 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 04 | სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 0.0 | 3.4 | 0.9 | 2.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 2.5 | 0.0 | 2.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **0.0** | **0.9** | **0.9** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 05 | დასუფთავების ღონისძიებები | 335.6 | 313.0 | 54.8 | 258.2 | 326.5 | 0.0 | 326.5 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 335.6 | 313.0 | 54.8 | 258.2 | 326.5 | 0.0 | 326.5 |
| | **არაფინანსური აქტივების ზრდა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 03 | **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **127.5** | **0.0** | **127.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 127.5 | 0.0 | 127.5 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

12

დოკუმენტი

11 <<<<<<<<<<<<<<<<

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **03 04** | **სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია** | **2.0** | **447.5** | **433.5** | **14.0** | **925.0** | **918.5** | **6.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 2.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 447.5 | 433.5 | 14.0 | 925.0 | 918.5 | 6.5 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **03 05** | **სოფლის მხარდაჭერის პროგრამა** | **835.2** | **841.0** | **841.0** | **0.0** | **876.7** | **876.7** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 558.7 | 791.1 | 791.1 | 0.0 | 625.9 | 625.9 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 276.5 | 49.9 | 49.9 | 0.0 | 250.8 | 250.8 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **04 00** | **განათლება** | **1,196.8** | **1,312.2** | **187.5** | **1,124.7** | **1,525.3** | **0.0** | **1,525.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 1,196.8 | 1,312.2 | 187.5 | 1,124.7 | 1,525.3 | 0.0 | 1,525.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **04 01** | **სკოლამდელი განათლების დაფინანსება** | **850.4** | **943.2** | **141.3** | **801.9** | **1,131.9** | **0.0** | **1,131.9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 850.4 | 943.2 | 141.3 | 801.9 | 1,131.9 | 0.0 | 1,131.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **04 03** | **მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა** | **266.8** | **285.3** | **34.3** | **251.0** | **385.9** | **0.0** | **385.9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 266.8 | 285.3 | 34.3 | 251.0 | 385.9 | 0.0 | 385.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **04 04** | **პროფესიული განათლება** | **79.6** | **83.7** | **11.9** | **71.8** | **7.5** | **0.0** | **7.5** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 79.6 | 83.7 | 11.9 | 71.8 | 7.5 | 0.0 | 7.5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0500** | **კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები** | **832.8** | **995.8** | **140.7** | **855.1** | **1,051.0** | **0.0** | **1,051.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 832.8 | 995.8 | 140.7 | 855.1 | 1,051.0 | 0.0 | 1,051.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501** | **სპორტის განვითარების ხელშეწყობა** | **412.8** | **480.1** | **75.9** | **404.2** | **535.3** | **0.0** | **535.3** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 412.8 | 480.1 | 75.9 | 404.2 | 535.3 | 0.0 | 535.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501 01** | **სპორტული ღონისძიებების დაფინანსება** | **17.7** | **23.5** | **3.2** | **20.3** | **12.2** | **0.0** | **12.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 17.7 | 23.5 | 3.2 | 20.3 | 12.2 | 0.0 | 12.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501 02** | **ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ,,კოლხეთის" ხელშეწყობის ღონისძიებები** | **286.4** | **326.6** | **59.9** | **266.7** | **146.4** | **0.0** | **146.4** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 286.4 | 326.6 | 59.9 | 266.7 | 146.4 | 0.0 | 146.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501 03** | **სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები** | **12.0** | **15.0** | **0.0** | **15.0** | **18.0** | **0.0** | **18.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 12.0 | 15.0 | 0.0 | 15.0 | 18.0 | 0.0 | 18.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501 04** | **ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა** | **96.7** | **115.0** | **12.8** | **102.2** | **0.0** | **0.0** | **0.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 96.7 | 115.0 | 12.8 | 102.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0501 05** | **ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობა** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **358.7** | **0.0** | **358.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 358.7 | 0.0 | 358.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0502** | **კულტურის განვითარების ხელშეწყობა** | **408.3** | **499.4** | **64.0** | **435.4** | **496.1** | **0.0** | **496.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 408.3 | 499.4 | 64.0 | 435.4 | 496.1 | 0.0 | 496.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0502 01** | **კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული განვითარების ხელშეწყობა** | **366.3** | **425.9** | **57.5** | **368.4** | **425.8** | **0.0** | **425.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 366.3 | 425.9 | 57.5 | 368.4 | 425.8 | 0.0 | 425.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0502 02** | **ძეგლთა დაცვის ხარჯები** | **5.5** | **12.0** | **0.0** | **12.0** | **12.1** | **0.0** | **12.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 5.5 | 12.0 | 0.0 | 12.0 | 12.1 | 0.0 | 12.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0502 03** | **კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება** | **0.0** | **17.5** | **0.0** | **17.5** | **17.0** | **0.0** | **17.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 0.0 | 17.5 | 0.0 | 17.5 | 17.0 | 0.0 | 17.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0502 04** | **ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა** | **36.5** | **44.0** | **6.5** | **37.5** | **41.2** | **0.0** | **41.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 36.5 | 44.0 | 6.5 | 37.5 | 41.2 | 0.0 | 41.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0503** | **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება** | **6.2** | **11.5** | **0.4** | **11.1** | **13.6** | **0.0** | **13.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 6.2 | 11.5 | 0.4 | 11.1 | 13.6 | 0.0 | 13.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **0504** | **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** | **5.5** | **4.8** | **0.4** | **4.4** | **6.0** | **0.0** | **6.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 5.5 | 4.8 | 0.4 | 4.4 | 6.0 | 0.0 | 6.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 00** | **მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **390.6** | **493.2** | **78.6** | **414.6** | **522.1** | **0.0** | **522.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 390.6 | 493.2 | 78.6 | 414.6 | 522.1 | 0.0 | 522.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 01** | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** | **107.9** | **100.5** | **0.0** | **100.5** | **99.8** | **0.0** | **99.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 107.9 | 100.5 | 0.0 | 100.5 | 99.8 | 0.0 | 99.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 02** | **ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა** | **14.1** | **23.4** | **1.4** | **22.0** | **29.9** | **0.0** | **29.9** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 14.1 | 23.4 | 1.4 | 22.0 | 29.9 | 0.0 | 29.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **06 03** | **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა** | **196.5** | **219.8** | **28.4** | **191.4** | **258.8** | **0.0** | **258.8** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 196.5 | 219.8 | 28.4 | 191.4 | 258.8 | 0.0 | 258.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

>>>>>>>>>>>>>>>> 13

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 03 01 | **ავადმყოფთა სოციალური დახმარება** | **47.5** | **75.4** | **13.0** | **62.4** | **117.1** | **0.0** | **117.1** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 47.5 | 75.4 | 13.0 | 62.4 | 117.1 | 0.0 | 117.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 02 | **სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები)** | **2.9** | **5.0** | **0.0** | **5.0** | **5.0** | **0.0** | **5.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 2.9 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 03 | **მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა და ჩერნობილით დაზარალებულთა სოც. უზრუნველყოფის ხარჯები** | **2.4** | **3.2** | **0.0** | **3.2** | **8.0** | **0.0** | **8.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 2.4 | 3.2 | 0.0 | 3.2 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 04 | **მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი),დედმამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **12.2** | **11.7** | **0.0** | **11.7** | **13.7** | **0.0** | **13.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 12.2 | 11.7 | 0.0 | 11.7 | 13.7 | 0.0 | 13.7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 05 | **უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება** | **80.7** | **71.5** | **7.7** | **63.8** | **60.0** | **0.0** | **60.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 80.7 | 71.5 | 7.7 | 63.8 | 60.0 | 0.0 | 60.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 06 | **ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი** | **45.0** | **49.0** | **7.2** | **41.8** | **49.0** | **0.0** | **49.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 45.0 | 49.0 | 7.2 | 41.8 | 49.0 | 0.0 | 49.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 03 07 | **უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება** | **5.8** | **4.0** | **0.5** | **3.5** | **6.0** | **0.0** | **6.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 5.8 | 4.0 | 0.5 | 3.5 | 6.0 | 0.0 | 6.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 04 | **უმწეოთა ერთჯერადი დახმარება** | **54.5** | **59.0** | **8.7** | **50.3** | **55.0** | **0.0** | **55.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 54.5 | 59.0 | 8.7 | 50.3 | 55.0 | 0.0 | 55.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 05 | **ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება** | **10.3** | **54.1** | **34.1** | **20.0** | **30.0** | **0.0** | **30.0** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 10.3 | 54.1 | 34.1 | 20.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 06 | **მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა** | **7.3** | **36.4** | **6.0** | **30.4** | **48.6** | **0.0** | **48.6** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0.0 | 0.0 | | | 0.0 | | |
| | ხარჯები | 7.3 | 36.4 | 6.0 | 30.4 | 48.6 | 0.0 | 48.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ვალდებულებების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

# ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს
# ა უ ქ ც ი ო ნ ს
## ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

| №- | ქონების დასახელება | ექსპლუატაციაში შესვლის წელი | სავარაუდო წონა (კგ) | აუდიტორული შეფასება (ლარი) | ბიჯი 10% | ,,ბე“ 10% | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლითონის ავზი (პ/მაისის საბავშვო ბაღში) | 1980 | 1200 | 180 | 18 | 18 | საბალანსო ღირებულება |
| 2 | წყლის ავზი( ზუბის სასოფლო კლუბში) | 1980 | 4000 | 480 | 48 | 48 | აღნიშნულ |
| 3 | ქ. ხობის №1 საბავშვო ბაღის კაპიტალ. რემონტის პერიოდში მიღებული მეორადი მასალები: | 1975 | | | | | ქონებებზე ცალკე არ არის აღრიცხული |
| | შეშა (კუბ.მ) | | 15 | 280 | 28 | 28 | |
| | ჯართი | | 400 | 48 | 4,8 | 4,8 | |
| 4 | მსუბუქი ავტომანქანა ტოიოტა კოროლა | 2008 | | 1250 | 125 | 125 | საბალანსო ნარჩ. ღირებულება 1652 ლარი |
| | | | | | | | |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2016 წლის 20 ივნისი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები:ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–707017021, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და ,,ბე“- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ),,ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში, საკონტაქტო პირი-ლამზირა თოდუა–ტელ-599-85-60-91

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

# თამბაქო კლავს



***რა ზიანს აყენებს თამბაქო ორგანიზმს?***

–საყოველთაოდ ცნობილია, რომ თამბაქოს წევის პროცესში წარმოქმნილი ნივთიერებები მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ყველა ორგანოზე და შესაბამისად ყველა სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე. თამბაქოს კვამლის შესუნთქვისას ზიანდება კბილის მინანქარი, რაც იწვევს კარიესის გაჩენას, კბილები ყვითლდება, ხშირად ვითარდება სტომატიტი და მინგივიტი.

ნიკოტინის მოქმედების შედეგად ვიწროვდება სისხლძარღვები, მათ კედლებში წარმოქმნილი ტროფიკული ცვლილებები კი ხელს უწყობს ათეროსკლეროზისა და სისხლძარღვთა სისტემური დაავადებების განვითარებას, ნიკოტინი ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ადიდებს მიოკარდიუმის ინფარქტის, გულის კუნთის და ტვინის სისხლძარღვების დაავადების რისკს.

თამბაქოს მწეველებში მომატებულია სასუნთქი გზების დაავადებების ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქიალური ასთმის, ბრონქიალებისა და ბრონქების ლორწოვანი გარსის სისტემატური დაზიანება. თამბაქოს წევის ერთ-ერთი ყველაზე საშიში შედეგია ფილტვის კიბოთი დაავადება, მოზრდილთა შორის ტუბერკულოზით დაავადებულთა 95% მწეველები არიან.

თამბაქოს წევის ნიადაგზე ავთვისებიანი სიმსივნე შეიძლება წარმოიქმნას პირის ღრუში, ხორხში, საყლაპავ მილში, თირკმელში, შარდის ბუშტში. უარყოფით გავლენას ახდენს სასქესო ჯირკვლებზე, ხელს უწყობს სქესობრივ უძლურებას.

***მწეველები და გარემო***

–თამბაქოს წევა მავნეა არა მარტო მწეველებისთვის, არამედ იმათთვისაც, ვინც მწეველებთან ერთდ შენობაში იმყოფება და თამბაქოს კვამლით მოწამლული ჰაერით სუნთქავს. ადამიანის, რომელიც სუნთქავს თამბაქოს ბოლით დაბინძურებულ ჰაერს, პასიური მწეველი ეწოდება.

მწევლი მშობლების შვილები, ფაქტობრივად არიან პასიური მწეველები. ასეთ ბავშვებში აღინიშნება ინფექციური დაავადებებისადმი ნაკლები წინააღმდეგობის უნარი. ისინი ხშირად ავადმყოფობენ აცდენენ სკოლას და უფრო დიდხანს არიან საავადმყოფოებში, ვიდრე არამწეველთა შვილები ჯანმრთელობაზე სიგრეტის მოწევის მავნე გავლენის გამო თამბაქოს კომპანიებმა დაიწყეს „ნიკოტინის მცირე რაოდენობის" შეცვლილი სიგარეტების გამოშვება. მაგრამ გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ნიკოტინის „მცირე რაოდენობის" შემცველი სიგარეტების მოწევა არ ამცირებს ისეთი დაავადებების განვითარების რისკს, როგორიც არის გულსისხლძარღვთა და ფილტვების ქრონიკული დაავადებები, პირის ღრუს სიმსივნეები და სხვა.

***რატომ უნდა დაანებოთ თავი სიგარეტს?***

–მსოფლიოში ყოველწლიურად, თამბაქოს მოწევას თავს ანებებს მილიონობით ადამიანი. მოწევის შეწყვეტისთანავე ადამიანის ორგანიზმში იწყება გაწმენდის პროცესი: რეგულირდება გულისცემა, მცირდება სისხლის წნევა, მცირდება სისხლში ნიკოტინისა და კარბონატის მონოქსიდის დონე, მცირდება მწეველის ქრონიკული ხველება, ადამიანს ფილტვები უსუფთავდება და სუნთქვა უადვილდება, უსიამოვნო გემო ქრება პირის ღრუში, უმჯობესდება ყნოსვა, ძილი უფრო მშვიდი ხდება.

***როგორ უნდა დავანებოთ თავი ამ მავნე ჩვევას?***

–სიგარეტის მოწევის თავის დანებება ყველა პირობებში ძალიან ძნელია, სიგარეტის მოწევას თავს ვერ დაანებებთ, თუ არა იცით, ეს როგორ გააკეთოთ. თუ თქვენ სცადეთ თავი დაანებოთ სიგარეტის მოწევას და არაფერი გამოგივიდათ, არ შეშინდეთ, სცადეთ კიდევ ერთხელ, რადგან ბოლოს და ბოლოს მიაღწევთ მიზანს.

რამდენი დროა იმისთვის, თუ როგორ დაანებოთ თავი სიგარეტის მოწევას,

–დანიშნეთ ამისთვის ზუსტი დღე უახლოეს მომავალში.

–სანამ მოწევას თავს დაანებებთ, აღნიშნე რა სიხშირით ეწეოდით და უფრო ხშირად რა საქმიანობის დროს.

–ჩამოთვალეთ მიზეზები, თუ რატომ გინდათ დაანებოთ თავი სიგარეტს.

–უთხარით ყველას, რომ სიგარეტის მოწევას თავს ანებებთ; არ დამალოთ, სთხოვეთ თქვენი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ყოველნაირად ხელი შეგიწყონ, დაგეხმარონ. სიგარეტის მოწევას დაანებეთ თავი ზუსტად თქვენს მიერ დანიშნულ დღეს, აღარ შეინახოთ სიგარეტი სახლში და ეცადეთ უარი თქვათ სხვისმიერ შემოთავაზებულ ერთ ღერზეც კი.

მოახდინეთ თქვენი ყურადღებისა და ძალების მობილიზაცია, რომ მიმდინარე დღეს არ მოსწიოთ სიგარეტი, ნუ ინერვიულებთ ხვალინდელ დღეზე ან მომავალ კვირაზე.

უმჯობესია დაკავდეთ ისეთი საქმიანობით, რომლის დროსაც სიგარეტის მოწევა არ გაგახსენდებათ, ან თუ ძალიან გაგიჭირდებათ გადაიტანეთ ყურადღება სხვა რამეზე.

დააჯილდოვეთ თქვენი თავი იმ ფულით, რაც დაზოგეთ სიგარეტის თავის დანებების გამო, იყიდეთ, თქვენთვის რამე სასიამოვნო ან დააგროვეთ ფული მოგზაურობისთვის.

ხშირად გაახსენეთ საკუთარ თავს, რომ სიგარეტის თავის დანებება არის თქვენთვის ძალიან სასარგებლო, დაუხატეთ თქვენს თავს მომავალი ჯანმრთელი და კომფორტული ცხოვრების სურათი.

თამბაქოსთვის თავის დანებება ყოველთვის შეიძლება, ამისთვის საჭიროა მხოლოდ სურვილი და ნებისყოფა.

***ჯუმბერ ტურავა,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე ექიმი-პროფილაქტიკოსი.***

ჩვენი სახელოვანი წინაპრები

# მათ ქართულ სიმღერას სული შთაბერეს

ხალხური სიმღერა ერის მდიდარი სულიერი სამყაროა. სამყარო, რომელიც თავის წიაღში ინახავს კულტურის დარგის მოღვაწეთა შემოქმედებას.

გაზეთის საშუალებით მინდა გავახსენოთ ხალხურ სიმღერაზე და ფოლკლორზე შეყვარებული ადამიანები, რომელთა ბედი სიმღერის სიყვარულმა დააკავშირა. მათ შექმნეს ულამაზესი ოჯახი. და მრავალი მოსწავლე აღზარდეს, შექმნეს მეჩონგურეთა და მომღერალთა ანსამბლები.

16 წლის ქიონია ბართაიამ გაიცნო მუსიკის დიდი მოტრფიალე, ღარიბი ოჯახის შვილი ბეგლარ აკობია. ახალგაზრდა კაცი მონუსხა ქიონიას მუსიკალურმა ნიჭმა, ხმამ და მალევე 1910 წელს მათ იქორწინეს.

აკობიების მოკრძალებული ოჯახის სიმდიდრეს წარმოადგენდა მამაპაპისეული ჩონგური, რომელზეც განსაკუთრებული ოსტატობით უკრავდნენ ბეგლარი და ქიონია. ეს თავმდაბალი ცოლ-ქმარი, საოცრად შეყვარებული ხალხურ სიმღერაზე, ქართულიხალხური ჩონგურის აღდგენა-პოპულარიზაციის საქმეში პიონერებად ითვლებიან. ისინი თავიანთ ანსამბლში ამკვიდრებდნენ ძველ მოტივებს. თავდაუზოგავი შრომით ხვეწდნენ ანსამბლის შემოქმედებას, მართავდნენ კონცერტებს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. ოლიმპიადებსა და კონკურსებში მათ სითბოთი და უდიდესი სიყვარულით ხვდებოდნენ.

ბეგლარი კახათელი იყო–ქიონია ზუგდიდელი. მათ ბავშვობიდან აღეძრათ სურვილი დაუფლებოდნენ ხალხურ საუნჯეს. აინტერესებდათ ხალხური საკრავი და მათ ჩონგური სახალხო საკრავად აქციეს. აკობიებმა კარგახანს გულში ატარეს ჩონგურის საჯაროდ დაკვრის სურვილი. შემდეგ მათ სურვილს დიდი გასაქანი მიეცა. აკობიების მიერ ვირტუალურად დაკრული ჩონგურის ხმოვანება არამარტო ზუგდიდის რაიონს, არამედ სხვა ქალაქებს, რაიონებს და თვით დედაქალაქ თბილისსაც მისწვდა.

მეჩონგურეთა ანსამბლი თავდაპირველად 5 შემსრულებლისგან შედგებოდა. მაგრამ 1930 წლიდან 12 კაციან ანსამბლად იქცა, მეჩონგურეთა ანსამბლი სასიმღერო შემოქმედების საუცხოო ნიმუშებით წარსდგა მსმენელის წინაშე.

ჩონგურის შერეული გუნდი წარუდგა მწერალთა აუდიტორიას, მათ შეასრულეს 20-მდე სიმღერა- მეგრული, აფხაზური, სვანური, გურული და სხვა მელოდიები. გუნდი წარმატებით გამოვიდა მეცნიერთა წინაშე საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალში, სადაც პროფესორებმა სიმონ ჯანაშიამ და გიორგი ჩიტაიამ აღნიშნეს უდიდესი მნიშვნელობა ამ საქმისა, გუნდის ხალხურობა და ეთნოგრაფიული საწყისები. განსაკუთრებით აღინიშნა იმპროვიზატორი კომპოზიტორის ქიონია აკობიას მიერ ჩონგურის ოსტატური დაკვრა და აკობიების ქალიშვილის, 9 წლის ნუციკოს წკრიალა ხმა და იშვიათი მუ-



სიკალური სმენა. ვინ არ მოხიბლეს ამ იშვიათმა შემსრულებლებმა.

ბეგლარ და ქიონია აკობიების მიერ გადაკეთებულ მრავალ საჩონგურო სიმღერებში აღსანიშნავია. „სესია", „ჩელა", „ვენგარა ნანასკუა", „ყაზახეფიშ ობირეში", „რკინას ხოჯი", „პირველ მესი", „ჩაიშ კულტურა", მაფშალია, ჩქიმ ტორონჯი, ნოსა-დიანთილი „ყურდღელიშ გაჭირება", „ზარი", „ეგებ ქორთულ ვაგარჩქილე", სიმღერა უტუ მიქავაზე, სიმღერა სტალინზე „ნანა, სამშობლო მიძახუნა". მათ აღადგინეს 12 სრულიად მივიწყებული მეგრული ხალხური ჰანგი და თავადაც ხალხურ მოტივებზე შექმნეს 17 ახალი სიმღერა.

მეგრული სიმღერები საქართველოს სხვა კუთხის ეთნოგრაფიული სიმღერებიდან გამოირჩევა თავისი ღრმა ლირიზმით, ნაზი განცდებითა და განსაკუთრებული ტონის მელოდიებით.

თქვენ ხშირად მოგისმენიათ ალბათ, სხვა მეჩონგურეთა სიმღერებიც, სადაც მხოლოდ გუნდის სიმღერა ისმის, ხოლო ჩონგურის ნაზი ხმა სადღაც იკარგება, ვინც მეგრულ ჩონგურს იცნობს, იმისთვის ნათელია, რომ ასეთი შესრულება ჩონგურის დამახინჯებაა, ჩონგური იმის ჩონგურია, რომ თვით ეს ნაზი და მგრძნობიარე ინსტრუმენტი დამწყებიცაა და წამყვანიც. აკობიების ჩონგურში ეს პირობა მთლიანად დაცულია და რაც მთავარია, ხალასად, ეთნოგრაფიულად და „შეულამაზებლად", რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. მათ შექმნეს და ასრულებდნენ 12 ნომერს სამგლოვიარო მოტივებზე და საერთო რეპერტუარში ჰქონდათ 140 ნომერი.

სამამულო ომმა ხელი შეუშალა ანსამბლს და მის ხელმძღვანელს ბეგლარ აკობიას განეხორციელებინა დიდად ღირებული 3 ნაწილიანი კონცერტი, თუმცა 1940 წელს გუნდმა მრავალი კონცერტი გამართა რაიონებში ჰოსპიტალებსა და სამხედრო ნაწილებში.

...და როცა რაიხსტაგზე ეგოროვმა და მელიტონ ქანთარიამ ერთად აღმართეს გამარჯვების დროშა, რადიოში ისმოდა აკობიების ცეცხლოვანი სიმღერა „ჭითა ჯარი ნაცხაცხალი" ( გაზეთი „მებრძოლი" 1944 28.07).

„ანსამბლს ძალიან ეხმარებოდა ბიძაჩემი პავლე აკობია, ის მთელი ტექსტების ავტორია, მთელი ცხოვრება თბილისში ცხოვრობდა მარტო, თამარაშენის ქუჩაზე, ერთ პატარა მიწურ ოთახში, სადაც ჭრაქის მბჟუტავ ალზე ფურცელზე გადაჰქონდა თავისი განცდები (გაზ. „მებრძოლი" 1990 წლის 20 თებერვალი) ეს უდაოდ განათლებული, ავტორია ტექსტისა „ჩელა", „ჩქიმ ტორონჯი", „სიღატაკე", „ჭითა ჯარი". სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება პავლეს 3 წიგნი, ლექსთა კრებული „იმედი", თბილისი 1904 წ. შესანიშნავი ნიჭის ავტორი ალ. მესხია ( 1905 წ.) და ჩელა თბილისი (1931წ) გარდა ამისა ნუცა აკობიას ოჯახში შენახულია მისი გამოუქვეყნებელი ლექსების ხელნაწერები, ყველა ტექსტს ახლავს განმარტება თუ რა ჟანრისაა სიმღერა, რა მანერითაა შესასრულებელი.

აკობიების ანსამბლის დიდი გულშემატკივრები იყვნენ მიშა ბახტაძე, შოთა მილორავა, განყოფილების გამგე შალვა შენგელი ძალიან მფარველობდა ოჯახს ჩვენი ოჯახის დიდი გულშემატკივარი და ხშირი სტუმარი იყო ლადო გეგეჭკორი, მაგრამ ასევე ახლო ურთიერთობა, მაინც კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილთან გვქონდა"–იხსენებს ნუცა აკობია :

***ნანა ჯალაღონია***
***ძუკუ ლოლუას სახ. ქართული-ხალხური სიმღერის მუზეუმი (სამეგრელო)***

## სულთათანა

# რევაზ ხუნჯუა და იზოლდა თათარიშვილი





ხსოვნა ადამიანის უკვდავებაა, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაც ხომ ამ უკვდავებისთვის მზაობა და ბრძოლაა. საჯიჯაოში საფლავის ქვიდან ორი ულამაზესი სახება გვიცქერის–რეზო ხუნჯუა და იზოლდა თათარიშვილი. თითქოს კანონზომიერიც იყო, მათ ხომ უერთმანეთოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინათ, მათი სიყვარული ბოლო წუთამდე ალამაზებდა და ათბობდა ავთანდილ ხუნჯუას პატიოსნებითა და კაცთმოყვარეობით სავსე ოჯახს.

ქირურგი რეზო ხუნჯუა და ლაბორანტი იზოლდა თათარიშვილი მიუხედავად ახალგაზრდობისა, სხვათა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის დახარჯულები, ვალმოხდილნი წავიდნენ იმქვეყნად. თუმცა, სიცოცხლეს კი მაინც ჩვენს გვერდით აგრძელებენ.

„რეზო ექიმი“ (როგორც მას მიმართავდნენ) გამორჩეული იყო გულისხმიერებით და რაც მთავარია, მაღალი პროფესიონალიზმით. ჯერ კიდევ მაშინ, როცა თანამედროვე კომპიუტერული გამოკვლევები არ არსებობდა, მის მიერ დასმული დიაგნოზი უტყუარი იყო, „ოქროსხელება“ ქირურგმა ვინ იცის რამდენი ადამიანის სიცოცხლე გამოსტაცა სიკვდილს, რამდენ პაციენტს გაუნაწილა გულის სითბო...

სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ერთხანს სოხუმში იმუშავა, შემდეგ კი 40 წელი ხობის საავადმყოფოში დარაჯად დაუდგა ხალხის ჯანმრთელობას.

სულ რაღაც ერთი წელიც არ გასულა, რაც რეზო ხუნჯუა აღარ არის, მისმა თბილმა გულმა ვერ გაუძლო იმ სულიერ დანაკლისს, რასაც სახელად იზოლდა თათარიშვილი ერქვა. წავიდა და დატოვა ტრადიციული, ლამაზი და სანიმუშო ოჯახი, გულდამძიმებული, შვილიშვილებზე მზრუნველი მოხუცი დედა. დიდი ბაბუის მოსახელე შვილი (მამის ალი-კვალი) ეკონომისტი ავთანდილი და ქალიშვილი–ნათია სამედიცინო უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი.

ჩვენ, აქ დარჩენილებს, ერთი უბედურება გვჭირს, ზოგჯერ უგვანოს უფრო ხშირად ვიხსენებთ, რაღაცის და ვიღაცის გამო... რეზო ხუნჯუა ის კაცი იყო, რომელმაც ჩუმად და პატიოსნად იცხოვრა, სხვისი ჭირი გაითავისა და სრულიად ახალგაზრდა (ახლახან შეუსრულდა 60 წელი) ჩუმად გაგვეცალა...

გავიდა დრო და მართალაც ყველას დააკლდა, როგორც ქირურგი და როგორც პიროვნება, ის თავს მაშინ გვახსენებს, როცა გვტკივა, როცა გვიჭირს...

მრავალთა გულისტკივილს და მონატრებას მეც ვუერთდები და სიყვარულით ვიხსენებ მათ, უფალს ვავედრებ სასუფეველი დაუმკვიდროს მათ სულებს.

***მერი ლაგვილავა.***

# იმედო ქანდარია



ჯერ ერთი წელი არ არის გასული მას შემდეგ, რაც კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე წავიდა ჩვენგან. დატოვა სამზეო და შეუერთდა მარადისობას.

სოფელ პირველ მაისს, ხობის მუნიციპალიტეტს, მის აურაცხელ სამმოს და სამეგობროს გამოაკლდა კაცი ზნეკეთილი, შემკული ყოველგვარი ღირსებებითა და ნიჭიერებით. ჭეშმარიტი მამულიშვილი, ნაღდი კოლხი, გამორჩეული ბუნების ადამიანი, კარგი მეურნე, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, პროფესიით სწავლული აგრონომი ბატონი იმედო ქანდარია.

მახსენდება იმედოს ახალგაზრდობის წლები, ის ყველასგან გამორჩეული იყო, ამიტომაც გახდა 80-იანი წლებში ხობის რაიონის ახალგაზრდობის თავკაცი. ხობის რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობის დროს ბევრი რამ გაკეთდა ახალგაზრდობის სწავლების, განათლების, სპორტის განვითარებისა და სამუშაოებზე მოწყობის საქმეში.

ბატონი იმედო წლების განმავლობაში მუშაობდა ხობის ჩაის ფაბრიკის დირექტორად, მას მთელი კოლექტივი ემადლიერებოდა და უყვარდათ.

ბოლო წლებში ბატონი იმედო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სპეციალისტად მუშაობდა. მას დაღლა არ ჩვეოდა. მაღალი პასუხისმგებლობა პროფესიონალიზმთან ერთად არ აძლევდა უფლებას ჰარიჰ არად ეკეთებინა საქმე და სწორედ ამიტომაც ითვლებოდა ის თავის განყოფილებაში დასაყრდენ ფიგურად.

დაუზარელი და გამტანი, ძლიერი ზურგი იყო იმედო ამხანაგებისა და მეგობრებისთვის, იყო უზადო თამადა, იცოდა ქეიფისა და პურმარილის ფასი. სადღეგრძელოებს ლექსითა და სიმღერებით ამბობდა. სოფელში თუ ქალაქში იმედო შეუცვლელი თამადა იყო და არ მეგულება პიროვნება, რომ მისი თამადობით აღფრთოვანებული არ დარჩენილიყო.

იმედოს დარჩა არაჩვეულებრივი ოჯახი, პედაგოგი მეუღლე მანანა ცაგურია. ორი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი, უფროსი შვილი დათო ერთ-ერთი ცნობილი ქირურგი ოფთალმოლოგია, თემო–ამერიკაში მუშაობს. ქალიშვილი მაიკო თეატრში მოღვაწეობს. იმედოს მზე და მთვარე თავის შვილიშვილებზე ამოსდიოდა. დათოს ორი ვაჟიშვილი ჰყავს. რაოდენ ძნელია ის, რომ იმედო თავის შვილიშვილებს ნაადრევად დაშორდა.

დასანანია, რომ იმედოს დედამ, ქალბატონმა მარგომ სიბერეში კიდევ ერთი უმძიმესი ტრამვა მიიღო (მას ახალგაზრდობისას ხომ ვაჟიშვილი ყავდა დაღუპული)

დღეს მარგო ბიცოლას ამ დიდ ტკივილთან ერთად თვალისჩინი აქვს დაკარგული და მონატრებული შვილის საფლავთან მარტოს მისვლაც არ შეუძლია.

იმედო, შენ საყვარელ დას ნუნუს დღედაღამ თვალებზე ცრემლები არ შეშრობია. მას ხშირად ვხედავთ შენს საფლავზე მოქვითინეს...

რა დამავიწყებს გასული წლის ცოტნეობის დღესასწაულს. იმ დღეს ჩვენ ერთად ვიყავით. იმედო ავადმყოფობდა, თბილისიდან ახალი ჩამოსული იყო. ჩვენ პირველი ფაცხის წინ ვიდექით და ვსაუბრობდით... მეორე დღეს თავზარი დამეცა, როცა მითხრეს, იმედო დაიღუპაო, თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით მომდიოდა.

ბედნიერება იყო იმედოსთან მეგობრობა. თვალს ვავლებ განვლილ ცხოვრებასა და წლებს... ემოციები გონებას მირევს, ვაჟკაცს ცრემლები არ შეშვენის, მაგრამ, როცა მახსენდება მისი კრისტალივით სუფთა სული, კეთილ გულში ჩაბუდებული უამრავი სათნო თვისება, მინდა ხმამაღლა ვიტირო და ვკითხო, უშენოდ აბა როგორ?

იმედო, ჩვენ ძმებივით ვიყავით, შენ უფროსი ძმა ბავშვობაში დაგეღუპა და მე გიწევდი უფროს ძმობას. შენ ყველას სატკივარი გულთან ახლოს მიგქონდა და ამიტომაც ვერ გაგიძლო გულმა.

ჩემო ძმაო, იმედო, ცხოვრება ასეა აგებული. ზოგი თავის თავს უკვდება, ბევრი თავის სოფელსა და ქალაქს, გამორჩეულები ქვეყანას და ეს გამორჩეულები არ კვდებიან, გარდაიცვლებიან მხოლოდ, რათა უკვდავებად დაუბრუნდნენ მომავალ თაობებს.

იმედო გარდაიცვალა და არასოდეს წაიშლება მისადმი ხსოვნა იმათ გულებში ვინც მას იცნობდა.

ჩემო იმედო, ყველას იმედო, ნათელში გამყოფოს უფალმა.

***გიგლა კვიკვინია.***

# თამაზ კახიანი



თამაზ! დაუნდობელმა სიკვდილმა აღარ დაგინდო ცხოვრებასმოწყურებული ვაჟკაცი.

მართლაც, რომ ვაჟკაცურად შეებრძოლე ყოველგვარ პრობლემებს საბავშვო ბაღიდან. დედით ადრე დაობლდი, დაგაკლდა მისი სითბო. როცა წამოიზარდე, ცხოვრების დინებას მიენდე, სამუშაო გამონახე, გაჩნდა კერა საცხოვრებელიც და ნოჯიხეველმა ბიჭმა, შენი ბედი და ცხოვრება მეზობელ სოფელში ზემო ქვალონში მცხოვრებ–მარინა ჭანტურიას მიუძღვენი. შეგეძინათ ბიჭები-გიგა და კახა. როდესაც ყველამ იწვნია მძიმე ცხოვრების პირობები, შენც უკრაინას მიაშურე, სადაც 20 წელი დაჰყავი. ყველა ეროვნების ადამიანების მეგობარი და პატივისმცემელი იყავი. ჩვენი კუთხიდან ჩასულ სტუმარს, უყურადღებოდ არ ტოვებდი.

კახამ ოჯახი შექმნა, ხარობდით პირველი შვილიშვილი გიორგით, მეორე შვილის დაოჯახებას კი ზაფხულში აპირებდით.

მაგრამ ამაოდ, დაუნდობელმა სიკვდილმა უცბად გამოსტაცა შენი თავი შენს შვილებს, სამმოსა და სამეგობროს. ვერ გაჭრა ექიმების გაწეულმა მკურნალობამ.

მძიმეა შენი სიკვდილი შენი ოჯახისთვის, დებისა და ძმების ოჯახებისთვის. შენ ხომ მათთვის საფიცარი და მონატრებული იყავი.

ჩვენს ქუჩაზე შენი სიკვდილის ამბავი მეხის გავარდნას გავდა, ვინ იფიქრებდა თამაზ კახიანის სიკვდილს.

ალბათ გრძნობდი სიკვდილის მოახლოებას. არ წყდებოდა საყვარელ მეუღლესთან შენი მოლოცვებით, მოფერებებით სიყვარულით სავსე მესიჯები. ეს მესიჯები კი მისთვის დღეს შენგან დარჩენილი განძია, რომელსაც ყოველდღე კითხულობს და უკვირს კიდეც, „რას ნიშნავდა ეს?“–ალბათ სიკვდილის მოახლოების შიშს.

ახლა კი არ წყდება ტელეფონის ზარები უცნობი თუ ნაცნობი ადამიანებისგან. დასანანია, რომ საზღვარგარეთ მყოფი ნათესავები, ვერ ახერხებენ ჩამოსვლას.

თამაზ! მეზობლებს გვენატრები, გელოდებით, მაგრამ განგებამ ასე ისურვა, დაგვაკლდა შენი ალერსი, მოფერება და ჩახუტება, შენი ღიმილი. ჩვენ გვჯერა, შენი შვილები გიგა და კახა კახიანები საჭიროებისამებრ ყველაფერს გააკეთებენ შენი სახელის უკვდავსაყოფად. მიიღეთ სოფლის ხალხის ლოცვა, სოფელში შემოსასვლელი გზა უკვე მოაწესრიგეს შვილებმა. გჯეროდეს, ყოველთვის აინთება შენი სულის მოსახსენიებლად წმინდა სანთლები.

მსუბუქი იყოს ზემოქვალონის მიწა და უთვალავი ლამაზი ყვავილები, რომელიც გულზე დაგეყრება.

მშვიდად იძინე, სასუფეველში, თამაზ!

მშვიდობით...

***შენი ახლო მეზობლები, სოფელი ზემო ქვალონი.***

# „ვიმოგზაუროთ ერთად წიგნის სამყაროში“



დღეს, 21-ე საუკუნეში ტექნოლოგიების წინსვლის მეშვეობით წიგნი ბევრისთვის კომპიუტერმა ჩაანაცვლა, რამაც ბიბლიოთეკებში ახალგაზრდების სიარულის ნაკლებობა გამოიწვია.ინტერნეტის მეშვეობით ბევრი რამის ნახვა და გაგება შესაძლებელი გახდა. ეს ყველაფერი კარგია და მისასალმებელი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ წიგნს შეუძლია ადამიანს მისცეს სრულფასოვანი ცოდნა და სულიერი საზრდო. მოზარდი წიგნს მაქსიმალურ დროს უნდა უთმობდეს იმიტომ, რომ მხოლოდ წიგნით შეუძლია მან სათანადო განათლება მიიღოს. მინდა ახალგაზრდობას და განსაკუთრებით მოზარდებს მოვუწოდო იკითხონ, რაც შეიძლება ბევრი. რადგან მხოლოდ განათლებულ, წიგნიერ ახალ თაობას შეუძლია ჩვენი და არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის გადარჩენა.

ხობის მუნიციპალიტეტში არსებული თედო სახოკიას სახელობის ბიბლიოთეკას დიდი ხნის ისტორია აქვს. ქალთა პერსონალით დაკომპლექტებულ დაწესებულებას მათი კოპწია ხელები ეტყობა, ლამაზად, ყვავილებით მორთული გარემო, ესთეთიკურად ალამაზებს იქაურობას. მათთან შეხვედრით კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ მათთვის თითოეული მისული სტუმარი დიდი თუ პატარა ერთნაირად პატივსაცემია. ბიბლიოთეკაში საინტერესო პროექტები ხორციელდება, ერთი ასეთი პროექტია „ვიმოგზაუროთ ერთად წიგნის სამყაროში“. პროექტი მიზნად ისახავს ინტეგრირებას სკოლასა და ბიბლიოთეკას შორის. ბიბლიოთეკის თანამშრომლები პროექტის ფარგებლებში, მუნიციპალიტეტში არსებულ ბაღებსა და სკოლებში აწყობენ მოზარდებთან შეხვედრას, ესაუბრებიან მათ წიგნის აუცილებლობაზე, უკითხავენ ზღაპრებს. ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა შემოქმედებითი საღამოები. პროექტი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მოზარდებში წიგნისადმი მეტი სიყვარული დაინერგოს.

პირველკლასელები სასწავლო წელს სხვა კლასელებისაგან განსხვავეით ადრე ამთავრებენ, სწორედ სასწავლო წლის დამთავრებას დაუკავშირა ხობის N1 საჯარო სკოლის პირველი კლასის პედაგოგმა ლალი ჩიტაიამ ბილიოთეკაში ვიზიტი. დარბაზში შესულ მოსწავლეებს მომღიმარი ქალბატონები შემოხვდნენ, ბავშვები დიდრონი და გაცისკროვნებული თვალებით შესციცინებდნენ მათ და გულისყურით უსმენდნენ არაფერი გამოგვეპაროსო, მათი განცვიფრება წიგნსაცავში შესვლამ გამოიწვია. ერთმანეთს არ აცლიდნენ საუბარს, კითხვას პასუხი ცვლიდა, ბავშვებმა მასპინძლებთან ერთად წაიკითხეს და გაარჩიეს ზღაპარი. წაიკითხეს ლექსები, ერთმანეთს აფორიზმების და ანდაზების ცოდნაშიც შეეჯიბრნენ. ხალისი და ჟრიამული ავსებდა იქაურობას... ემოციებით და შთაბეჭდილებებით დატვირთულებმა დატოვეს იქაურობა, პირობა დადეს,რომ ეყვარებათ წიგნების კითხვა და ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები იქნებიან. მინდა პატარების სახელით მადლობა გადავუხადო მათ თბილი დახვედრისთვის.

## 1 ივნისი–ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ხობში



















გვერდი მოამზადა ნინო გერგაია.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.